

ნანა სუმბაძე

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა:
ბარიერები და მათი დაძლევის გზები

Nana Sumbadze

Access To University Education:

Barriers And Ways Of Overcoming Them



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი



საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
Institute For Policy Studies

ნანა სუმბაძე

**უმაღლეს განათლებაზე
ხელმისაწვდომობა:
ბარიერები და მათი დაძლევის გზები**

საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი

თბილისი 2015

NANA SUMBADZE

**ACCESS TO UNIVERSITY EDUCATION:
BARRIERS AND WAYS OF
OVERCOMING THEM**

INSTITUTE FOR POLICY STUDIES

TBILISI 2015



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

**პროექტი განხორციელდა ფონდის –
„ღია საზოგადოება-საქართველო“ მხარდაჭერით**

პროექტი მრავალი ადამიანის შრომის შედეგს წარმოადგენს. ავტორს სურს მადლობა გადაუხადოს საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის მკვლევარებს ეკატერინე ფირცხალავას და მაია მაისურაძეს გამოკითხვის ორგანიზების, ზედამხედველობისა და დისკუსიების ჩატარებისათვის, ვადარშაკ შახბეგიანს დისკუსიის ჩატარებისათვის, ყველა ინტერვიუერს თინათინ ერისთავს და სოფიო ქიტიაშვილს მონაცემების შეყვანისათვის, ხათუნა იოსელიანს, ნინო კიკნაველიძეს და ანი ქიტიაშვილს შენიშვნებისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დემოკრატიული განვითარების ქუთაისის, ბათუმისა და მარნეულის ცენტრებს კვლევის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში დახმარებისათვის, დისკუსიის ყველა მონაწილეს მოსაზრებების გაზიარებისათვის, ასევე ყველა რესპონდენტს თანამშრომლობისათვის.

ყდის დიზაინი: მაია სუმბაძე

სარჩევი

1. შესავალი.....	5
2. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მოკლე მიმოხილვა.....	5
3. კვლევის საგანი და დიზაინი.....	8
4. ერთიანი ეროვნული გამოცდების 2014 წლის შედეგები.....	9
4.1. უმაღლესი სასწავლებლების კლასიფიკაცია.....	9
4.2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია.....	14
4.3. გამოცდების ჩაბარება.....	16
4.4. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა.....	23
4.5. გრანტები.....	27
4.6. შეჯამება.....	29
5. ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი.....	31
5.1. მეთოდოლოგია.....	31
5.2. დემოგრაფიული მაჩვენებლები.....	32
5.3. რელიგიურობა.....	34
5.4. კომპიუტერის მოხმარება და ენების ცოდნა.....	36
5.5. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა.....	39
5.6. მშობლების განათლება და სამსახურებრივი სტატუსი.....	43
5.7. მოსწავლეთა გეგმები.....	45
5.8. სასკოლო განათლების შეფასება.....	54
5.9. დენილები.....	58
5.10. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ფაქტორები.....	58
5.11. უნივერსიტეტის არჩევანით კმაყოფილება.....	62
5.12. სტუდენტების დანახარჯები.....	64
6. ეროვნული გამოცდებისათვის მასწავლებლებთან კერძოდ მომზადების მიზეზები, მისი საფასური და ამ პრაქტიკის შეცვლის გზები.....	68
6.1. კერძოდ მომზადების საჭიროების მიზეზები.....	68
6.2. სწავლისათვის საჭირო ხარჯები და ფინანსების აკუმულირების სტრატეგიები.....	71
6.3. კერძოდ მომზადების პრაქტიკის შეცვლის გზები.....	71

7. ღირებულებები.....	73
7.1. ცხოვრების მხარეები.....	73
7.2. ქმედითეფექტურობა.....	74
7.3. მონაწილეობა.....	76
7.4. მატერიალური და პოსტ-მატერიალური ღირებულებები და სოციალური ნდობა.....	76
7.5. ტრადიციული ღირებულებები.....	78
7.6. გენდერული თანასწორობა.....	80
7.7. შემწყნარებლობა.....	81
7.8. პიროვნული თვისებები.....	82
7.9. მიუღებელი ქცევები.....	84
8. ძირითადი შედეგების შეჯამება.....	85
8.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.....	85
8.2. ემპირიული კვლევისა და დისკუსიების შედეგები.....	88
8.3. ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პირობები: მსგავსება ღირებულებებში.....	94
9. დასკვნები და რეკომენდაციები.....	96
ბიბლიოგრაფია.....	102
Summary of the main results.....	103

1. შესავალი

განათლების ხარისხი ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან და დემოკრატიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. განათლება პიროვნების სოციო-ეკონომიკური სტატუსის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, ხოლო განათლება ზეთანაბარი ხელმისაწვდომობა ქვეყანაში არსებული თანასწორობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. უმაღლესი განათლების საფასური მაღალია და მთელ მსოფლიოში განუხრელად იზრდება. განათლება, ჩვეულებრივ, უფრო მეტად ხელმისაწვდომია მაღალი ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახების შვილებსათვის, მათთვის ვის მშობლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, ქვეყანაში დომინანტური ენის და ეთნიკურობის მქონე პირებისათვის და მათთვის, ვინც გეოგრაფიულად ნაკლებად იზოლირებულია (O'Hara & Johnstone, 2009).

უმაღლესი სასწავლებლების ოპერირებას ქვეყნის სპეციფიკური პოლიტიკური და ეკონომიკური, ასევე ისტორიული და გლობალური საერთაშორისო კონტექსტი განსაზღვრავს (Johnstone, 2009).

2. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს სკოლამდელ, ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას. ზოგადი განათლება სამი საფეხურისაგან შედგება: დაწყებითი (1-6 კლასი), საბაზო (7-9), საშუალო (10-12). საქართველოში მოქმედებს 2085 საჯარო და 246 კერძო სკოლა. საბაზო განათლება არის სავალდებულო. მისი დასრულების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია სწავლის გაგრძელება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე ან პროფესიული განათლების მიმართულებით. პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია 35 სახელმწიფო და 20 კერძო სასწავლებელში, ასევე 15 საჯარო და 4 კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015).

საშუალო განათლების ატესტატის ასაღებად მოსწავლემ უნდა ჩააბაროს CAT-ის გამოცდები. ამის შემდეგ მოსწავლეს შეუძლია სწავლა გააგრძელოს საქართველოს 62 უნივერსიტეტიდან ერთ-ერთში. უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები და გააკეთოს განაცხადი (შესაძლებელია 20-მდე არჩევანის გაკეთება) სასურველ სპეციალობასა და უნივერსიტეტზე.

ეროვნულ გამოცდებს, რომლებიც ცენტრალიზებულად და ერთდროულად იმართება, ეროვნული საგამოცდო ცენტრი ატარებს საქართველოს 11 გეოგრაფიულ ადგილას.

ეროვნული გამოცდების სისტემა დაინერგა 2005 წელს. მისი მიზანი იყო საუნივერსიტეტო განათლების კორუფციისგან გათავისუფლება და შესაბამისად უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა. 2005 წელს საგამოცდო საგნებად განსაზღვრული იყო: ქართული ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები და უცხო ენა. სისტემამ მას შემდეგ განიცადა ცვლილება. 2014 წელს აბიტურიენტი სამ ზემოთ ჩამოთვლილ გამოცდასთან ერთად აბარებდა კიდევ ერთ დამატებით გამოცდას საგანში, რომელსაც უნივერსიტეტი ასახელებდა პროგრამების მიხედვით. ეს საგნებია: მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია, ქართული ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია ან ხელოვნება. შემოქმედებით ფაკულტეტებზე აბიტურიენტებს მოეთხოვებოდათ ასევე შემოქმედებითი ტურის გავლა, რის ორგანიზებასაც უმაღლესი სასწავლებელი ახორციელებდა.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 15.8%-ს შეადგენენ ეროვნული უმცირესობები, მათგან აზერბაიჯანელები – 6.5%-ს, სომხები – 5.7%-ს, რუსები – 1.5%-ს, ყველა სხვა კი – 2.1%-ს.

უმცირესობებიდან აზერბაიჯანელების და სომხების დიდი ნაწილი კომპაქტურად არის დასახლებული – აზერბაიჯანელები ძირითადად ქვემო ქართლში, ხოლო სომხები – ჯავახეთში.

ეროვნული გამოცდების შემოღებამ გამოცდების ქართულად ჩაბარების მოთხოვნიდან გამომდინარე, მკვეთრად შეამცირა ეროვნული უმცირესობების უმაღლესში მოხვედრის შესაძლებლობა. უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2006 წელს აბიტურიენტებს მიეცათ ეროვნუ-

ლი გამოცდების რუსულად ჩაბარების უფლება. ამავე წელს ჯავახეთში, კერძოდ ნინოწმინდასა და ახალქალაქში ამოქმედდა ქართული ენის შემსწავლელი კურსები. 2008 წლიდან ეროვნულ უმცირესობებს მიეცათ ეროვნული გამოცდების მშობლიურ ენაზე ჩაბარების შესაძლებლობა. გატარებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან, მაგრამ ეს ზრდა არ იყო მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე გადაიდგა შემდეგი ნაბიჯი მათთვის განათლების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. კერძოდ, 2009 წლის 19 ნოემბერს შევიდა ცვლილება უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რომლის საფუძველზეც აბიტურიენტები, რომლებიც ჩააბარებენ ეროვნულ გამოცდას ზოგად უნარებში მშობლიურ ენაზე ირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში კანონით დადგენილი კვოტების მიხედვით (მისაღებ სტუდენტთა 5-5 პროცენტი სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტებისათვის და 1-1 პროცენტი აფხაზურ და ოსურენოვანი სტუდენტებისათვის) ქართულ ენაში უნივერსიტეტში ერთწლიანი 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ.

კვოტირების სისტემისა და ქართული საგანმანათლებლო პროგრამის შემოღების შედეგად გაიზარდა სტუდენტებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობა. 2010 წელს ჩაირიცხა 331 (კვოტებით განსაზღვრული ადგილების 12%), 2011 წელს 394 (21%), 2012 წელს 614 (26%), 2013 წელს 928 (24%) და 2014 წელს 673, (25.6%) (ტაბატაძე და გორგაძე, 2013). ამდენად, ათვისებულ იქნა კვოტით გათვალისწინებული ადგილების 12%-დან 25%-მდე. ზოგად უნარებში არაქართულენოვან აბიტურიენტებს, გარდა რუსულენოვანებისა, ბევრად უფრო ცუდი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე ქართულენოვან აბიტურიენტებს. 2014 წელს ზოგად უნარებში ჩაიტრა აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა 42.4%, სომხურენოვანთა – 29.8%, რუსულენოვანთა – 8.9% და ქართულენოვანთა – 12.5%.

ქვეყანაში მოქმედი 62 უნივერსიტეტიდან უმრავლესობა, 71% თბილისში მდებარეობს.

ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საქართველო ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა. ეკონომიკური მაჩვენებლების

მიხედვით ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 18.2%-ია, მოსახლეობის 11.0% იღებს უმწეობის დახმარებას. ამასთან, კეთილდღეობა ძალზე არათანაბრად არის განაწილებული, რის მაჩვენებელსაც წარმოადგენს ჯინის ინდექსი, რომელიც მთლიანი ხარჯების მიხედვით 0.44-ს ტოლია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2014). ეს კი უთანაბრობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია სიღარიბის მაჩვენებლის მიხედვით რეგიონებს შორის განსხვავება. ის უფრო მაღალია სოფლად (18.8%), ვიდრე ქალაქად (10.5%), ყველაზე ნაკლებია თბილისში და ყველაზე მეტი – გურეასა და კახეთში (მსოფლიო ბანკი, 2014).

3. კვლევის საბანი და დიზაინი

განათლება, ჯანმრთელობასთან ერთად ადამიანური კაპიტალის შემადგენელი ნაწილია და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პიროვნების კეთილდღეობას. განათლება ქვეყნის განვითარების საწინდარია და ამავედროულად, მისი მნიშვნელოვანი ინდიკატორიც.

კვლევის საგანს წარმოადგენდა უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის ბარიერების, მათი გამომწვევი მიზეზებისა და გადალახვის გზების დადგენა.

ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი მიზეზების დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მშობლების განათლების სტატუსზე და საცხოვრებელ ადგილზე.

საკვლევი კითხვა შემდგენიერად იქნა ფორმულირებული:

რამდენად განაპირობებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ოჯახის ეკონომიკური სტატუსი, მშობლების განათლება, თბილისში, რეგიონებში და მათ შორის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ცხოვრება.

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩატარდა სამაგიდო კვლევა, გაანალიზდა ეროვნული გამოცდების მონაცემთა

ბაზა; ასევე ჩატარდა ემპირიული კვლევა და დისკუსიები, კერძოდ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. სამაგიდო კვლევა:
შესწავლილ იქნა საქართველოში განათლებასთან დაკავშირებული ანგარიშები;
2. გაანალიზდა ერთიანი ეროვნული გამოცდების 2014 წლის შედეგები;
3. ემპირიული კვლევა:
ჩატარდა 1) XII კლასელთა გამოკითხვა საქართველოს 6 რეგიონში და თბილისში;
2) XII კლასელთა გამოკითხვა ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში;
3) I კურსელი სტუდენტების გამოკითხვა 5 საუნივერსიტეტო ქალაქში;
4. დისკუსიები:
გაიმართა დისკუსიები უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ბარიერების მიზეზებსა და მათი გადალახვის შესაძლო გზების თაობაზე მშობლებთან, მასწავლებლებთან და განათლების რესურსცენტრის თანამშრომლებთან საქართველოს ოთხ ქალაქში.

4. ერთიანი ეროვნული გამოცდების 2014 წლის შედეგები

4.1. უმაღლესი სასწავლებლების კლასიფიკაცია

საქართველოში 62 უმაღლესი სასწავლებელია აკრედიტირებული. ისინი სულ 8 ქალაქში არიან განთავსებული. უდიდესი უმრავლესობა, 44 უნივერსიტეტი, თბილისში, 6 ბათუმში, 3-3 ქუთაისსა და გორში, 2-2 რუსთავსა და ზუგდიდში, 1-1 თელავსა და ახალციხეში მდებარეობს. ეროვნული საგამოცდო ცენტრის 2014 წელს კონკურსის მონაცემების მიხედვით ჩვენ უნივერსიტეტები ოთხ ჯგუფში გავაერთიანეთ. ჯგუფებში გაერთიანების კრიტერიუმს წარმოადგენდა აბიტურიენტების მიერ პირველი

არჩევანის რაოდენობის შეფარდება უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ადგილებთან.

პირველ ჯგუფში სულ ორი უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი შევიდა, სადაც ერთ ადგილზე 2 აბიტურიენტზე მეტი მოდიოდა.

მეორე ჯგუფს შეადგენდა 6 უნივერსიტეტი. აქ ერთ ადგილზე 1-დან 2 აბიტურიენტამდე მოდიოდა, ესენია: თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

მესამე ჯგუფში შევიდნენ უნივერსიტეტები, სადაც ერთ ადგილზე 0.50-დან 1 ადამიანი მოდიოდა. ასეთი იყო 9 უნივერსიტეტი, ესენია: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (სეუ), ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA).

მეოთხე ჯგუფში გაერთიანდა დარჩენილი 45 უნივერსიტეტი, სადაც ერთ ადგილზე 0.50-ზე ნაკლები აბიტურიენტი მოდიოდა.

ცხრილი 1

უნივერსიტეტების რანჟირება კონკურსის მიხედვით

რან-გი	ჯგუფი	უნივერსიტეტი	მდებარეობა	კონკურსი
1	I	ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თბილისი	2.36
2		თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	თბილისი	2.16

3	II	თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	თბილისი	1.97
4		საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	თბილისი	1.73
5		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	თბილისი	1.59
6		საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	თბილისი	1.40
7		ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბათუმი	1.29
8		დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	გორი	1.19
9	III	სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	ბათუმი	0.92
10		თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	თბილისი	0.85
11		დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი	თბილისი	0.82
12		აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ქუთაისი	0.74
13		თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია	თბილისი	0.73
14		საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	თბილისი	0.61
15		საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი – სეუ	თბილისი	0.60
16		ქუთაისის უნივერსიტეტი	ქუთაისი	0.52
17		GIPA– საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	თბილისი	0.52
18	IV	ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ბათუმი	0.49
19		სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თბილისი	0.38
20		გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	გორი	0.36
21		შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	თბილისი	0.36

22	შოთა მესხიას ზუგდიდი სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ზუგდიდი	0.36
23	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ახალციხე	0.33
24	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	თელავი	0.30
25	ქალაქ ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი	ქუთაისი	0.29
26	საქართველოს უნივერსიტეტი	თბილისი	0.27
27	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	თბილისი	0.27
28	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	თბილისი	0.23
29	საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.22
30	პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია	თბილისი	0.22
31	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	თბილისი	0.21
32	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	თბილისი	0.21
33	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	ბათუმი	0.20
34	კავკასიის უნივერსიტეტი	თბილისი	0.19
35	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	თბილისი	0.16
36	ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი	ბათუმი	0.14
37	სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი	გორი	0.13
38	ახალი უმაღლესი სასწავლებელი	თბილისი	0.13
39	თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.12
40	ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.11
41	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (სდასუ)	თბილისი	0.11
42	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	თბილისი	0.11
43	თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.11

44	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.10
45	თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი “ჰიპოკრატე”	თბილისი	0.10
46	საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი “საზოგადოება ცოდნა”	თბილისი	0.08
47	აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.07
48	თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი “გორგასალი”	თბილისი	0.06
49	სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.06
50	სასწავლო უნივერსიტეტი “გეომედი”	თბილისი	0.06
51	სასწავლო უნივერსიტეტი “ევროპული აკადემია”	ზუგდიდი	0.05
52	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.04
53	ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი	რუსთავი	0.04
54	საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA	თბილისი	0.03
55	ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი	თბილისი	0.03
56	ქართულ-ევროპული აკადემია	თბილისი	0.02
57	ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი – ანრი	ბათუმი	0.02
58	თბილისის ბიზნესის და მენეჯმენტის აკადემია	თბილისი	0.02
59	თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	თბილისი	0.02
60	უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია	თბილისი	0.02
61	უმაღლესი სასწავლებელი ჯორჯია	თბილისი	0.01
62	რუსთავის უმაღლესი განათლების აკადემია	რუსთავი	0.01

ყველა პოპულარული უნივერსიტეტი (I და II ჯგუფი) ორის გარდა, რომლებიც ბათუმსა და გორში მდებარეობენ, თბილისში მდებარეობს.

ცხრილი 2

უნივერსიტეტების განაწილება მდებარეობისა და პოპულარობის მიხედვით

No	მდებარეობა	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი	სულ
1	თბილისი	2	4	6	31	44
2	ბათუმი	0	1	1	4	6
3	ქუთაისი	0	0	2	1	3
4	გორი	0	1	0	3	3
5	ზუგდიდი	0	0	0	2	2
6	რუსთავი	0	0	0	2	2
7	თელავი	0	0	0	1	1
8	ახალციხე	0	0	0	1	1
	სულ	2	6	9	45	62
	%	3.2	9.7	14.5	72.6	100

4.2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია

2014 წელს ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულა 37189 მოსწავლემ. CAT-ის გამოცდებში ჩაიჭრა 14.1%, ამდენად ატესტატი აიღო და ეროვნული გამოცდების ჩაბარების უფლება მოიპოვა 31954 მოსწავლემ ანუ მოსწავლეთა 85.9%-მა.

ცხრილი 3

იმ მოსწავლეთა წილი, ვინც მიიღო ატესტატი

რეგიონი და სკოლა დამთავრებულთა რაოდენობა	მიიღო ატესტატი (%)
თბილისი No10947	95.7
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი No321	94.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი No3116	86.3
შიდა ქართლი No2854	85.2

იმერეთი No5912	84.6
აფხაზეთი No 244	83.6
აჭარა No3622	82.4
მცხეთა-მთიანეთი No864	81.8
გურია No1092	81.2
კახეთი No2879	80.8
ქვემო ქართლი No3440	74.3
სამცხე-ჯავახეთი No1898	73.4
სულ No 37189	85.9

ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად დარეგისტრირდა 35100 აბიტურიენტი. მათ შორის, 2014 წელს სკოლა დამთავრებულების გარდა შევიდნენ წინა წლებში სკოლადამთავრებული აბიტურიენტებიც. გამოცდები ჩატარდა საქართველოში არსებულ 11 საგამოცდო ცენტრში.

ცხრილი 4

დარეგისტრირებული აბიტურიენტების წილი საგამოცდო ცენტრების მიხედვით

N	მდებარეობა	No 35100 %
1	თბილისი	50.0
2	ქუთაისი	13.6
3	ბათუმი	9.6
4	გორი	5.8
5	რუსთავი	4.6
6	ზუგდიდი	4.2
7	თელავი	3.9
8	ახალციხე	3.1
9	ფოთი	2.8
10	ოზურგეთი	1.7
11	სულ	0.7
	სულ	100

ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა სამ სავალდებულო საგანში – ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ზოგად უნარებში და ინგლისურ ენაში. არჩევითი საგნებიდან კი გეოგრაფიაში, ისტორიასა და მათემატიკაში.

ცხრილი 5
საგნების რანჟირება გამოცდაზე გასულ აბიტურიენტების რაოდენობის მიხედვით

საგანი	რაოდენობა
ქართული ენა და ლიტერატურა	32935
ზოგადი უნარები	32037
ინგლისური ენა	24603
გეოგრაფია	11502
ისტორია	10358
მათემატიკა	8729
რუსული ენა	6178
ლიტერატურა	4912
ბიოლოგია	3045
გერმანული ენა	1497
ქიმია	1435
ფიზიკა	415
ფრანგული ენა	308
ხელოვნება	143

4.3. გამოცდების ჩაბარება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 2014 წელს სულ გავიდა 35100 აბიტურიენტი, მათ შორის 51.0% გოგო და 49.0% ბიჭი. ყველა რეგიონში მცხეთა-მთიანეთის გარდა გოგონების წილი აღემატებოდა ბიჭების წილს.

ცხრილი 6

ეროვნულ გამოცდებზე გასული აბიტურიენტების რაოდენობა სქესის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

N	მხარე	გოგო (%)
1	თბილისი No 10985	50.9
2	შიდა ქართლი No 2879	50.4
3	მცხეთა-მთიანეთი No 745	46.4
4	იმერეთი No 5270	50.8
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი No 2414	51.2
6	სამცხე-ჯავახეთი No 1208	51.6
7	კახეთი No 2446	51.7
8	რაჭა-ლეჩხუმი No 318	52.8
9	ქვემო ქართლი No 2694	50.7
10	აჭარა No3381	50.7
11	აფხაზეთი No1888	50.9
12	გურია No 870	52.1
	სულ No 35100	50.8

გამოცდებზე ჩაჭრილთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია, როგორც საგნის ასევე აბიტურიენტის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. წილობრივად ყველაზე მეტი აბიტურიენტი ჩაიჭრა ფიზიკასა (42.4%) და მათემატიკაში (22.3%). ზოგადად დიდია ჩაჭრილთა წილი ყველა ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგანში. ყველაზე ნაკლები ჩაჭრილთა წილი კი ქართულ ენასა და ლიტერატურაშია.

ცხრილი 7

საგნების რანჟირება ჩაჭრილთა წილი სქესის მიხედვით

საგანი და გამოცდაზე გასულთა რაოდენობა	ჩაჭრილთა რაოდენობა და წილი			
	სულ რაოდენობა	გოგო %	ბიჭი %	სულ %
ფიზიკა <i>No415</i>	176	40.9	43.7	42.4
მათემატიკა <i>No8.729</i>	1942	21.0	23.6	22.3
ქიმია <i>No1.435</i>	253	15.8	19.7	17.6
რუსული ენა <i>No6.178</i>	898	13.7	15.4	14.5
ბიოლოგია <i>No3.045</i>	396	13.0	13.0	13.0
ზოგადი უნარები <i>No32.037</i>	3994	12.2	12.8	12.5
ისტორია <i>No10.358</i>	1221	11.5	12.1	11.8
გეოგრაფია <i>No11.502</i>	1329	11.0	12.1	11.6
ლიტერატურა <i>No4.912</i>	571	11.1	12.1	11.6
ქართული ენა და ლიტერატურა <i>No32.935</i>	1785	5.1	5.8	5.4
გერმანული ენა <i>No1.497</i>	124	9.1	7.4	8.3
ინგლისური ენა <i>No24.603</i>	2032	8.0	8.5	8.3
ხელოვნება <i>No143</i>	11	7.6	7.8	7.7
ფრანგული ენა <i>No308</i>	18	6.4	5.1	5.8
სულ	14750			

გოგოებმა ბიჭებზე უკეთ ჩააბარეს ეროვნული გამოცდები. მხოლოდ ორ საგანში, გერმანული ენა და ფრანგული ენა, გოგოების მეტი რაოდენობა ჩაიჭრა ვიდრე ბიჭების.

მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნა ჩაჭრილთა წილის მიხედვით რეგიონებში.

ქართულენოვანი თბილისელი აბიტურიენტები ზოგადად ყველაზე წარმატებულნი იყვნენ გამოცდებზე. ჩაჭრილთა წილი საგამოცდლო 14 საგნიდან 6-ში სწორედ მათთან იყო ყველაზე დაბალი. გურიაშია ყველაზე ნაკლებია ჩაჭრილთა წილი გეოგრაფიასა და ფიზიკაში, ქვემო ქართლში – ბიოლოგიაში, იმერეთში – ქიმიაში, ქართულ ლიტერატურაში – კახეთში. 7 საგანში – ქართული ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ისტორია, ხელოვნება ყველაზე დიდი წილი ჩაჭრილთა შორის აჭარაში. სამცხე-ჯავახეთში ჩაჭრილთა ყველაზე დიდი წილია ზოგად უნარებში, სამეგრელო-ზემო სვანეთში ყველაზე მაღალია ჩაჭრილთა წილი ინგლისურ ენაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში რუსულ ენაში, მცხეთა-მთიანეთში ქიმიასა და ფიზიკაში, იმერეთში ქართულ ლიტერატურაში, ხოლო გურიაში ფრანგულ ენაში.

ცხრილი 8

ეროვნულ გამოცდებში ჩაჭრილთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით (%)

საგანი	თბილისი	სამეგრელო	სამცხე-ჯავახეთი	კახეთი	რაჭა-ლეჩხუმი	მცხეთა-მთიანეთი	აჭარა	იმერეთი	აფხაზეთი	ქმე	ქართლი	გურია	შიდა ქართლი
ქართული ენა და ლიტერატურა	3.5	6.2	8.3	5.2	6.9	8.3	10.0	4.8	5.3	6.4	5.6	5.4	
გამოცდაზე გავიდა	1058	2342	936	2291	306	712	3308	5136	1827	1913	839	2786	
ზოგადი უნარები	7.7	15.4	19.4	12.1	13.0	15.0	21.4	12.3	14.0	13.8	12.4	13.7	
გამოცდაზე გავიდა	10054	2302	929	2268	299	702	3223	5077	1777	1826	830	2749	
ინგლისური ენა	3.8	26.3	15.6	10.1	14.6	12.3	14.4	8.8	7.5	7.4	13.5	9.8	
გამოცდაზე გავიდა	8326	1620	706	1819	219	545	2192	3817	1167	1426	607	2158	

რუსული ენა	4.9	16.6	32.5	23.1	34.3	26.7	15.6	21.8	7.6	15.1	20.1	19.4
გამოცდაზე გავიდა	1578	608	191	290	35	116	1007	766	579	384	154	470
გერმანული ენა	3.7	12.6	25.0	3.3	4.8	9.7	28.9	8.6	5.6	15.7	8.2	7.7
გამოცდაზე გავიდა	429	87	24	122	42	31	76	416	54	51	61	104
ფრანგული ენა	2.7	0	9.1	2.9	0	0	15.4	9.7	0	0	42.9	10.5
გამოცდაზე გავიდა	111	3	11	35	1	9	13	62	9	28	7	19
მათემატიკა (ქართ)	14.5	26.5	33.7	19.8	30.5	30.6	37.3	21.3	27.0	21.9	34.3	23.8
გამოცდაზე გავიდა	3163	524	199	505	59	186	1005	1357	422	438	195	675
ისტორია (ქართ)	7.6	13.5	19.6	11.8	10.1	16.0	20.4	8.0	9.4	13.3	10.3	10.8
გამოცდაზე გავიდა	2903	657	296	642	89	212	1746	1502	530	587	309	885
გეოგრაფია (ქართ)	10.3	10.2	14.3	8.7	8.3	14.3	18.5	10.6	12.1	9.4	4.5	9.3
გამოცდაზე გავიდა	3030	990	481	882	133	252	1574	1559	646	660	296	998
ბიოლოგია (ქართ)	7.7	14.3	19.3	11.8	12.1	21.8	25.0	15.6	14.4	7.1	20.5	12.8
გამოცდაზე გავიდა	817	244	62	323	33	78	200	544	153	197	73	321
ქიმია (ქართ)	13.5	22.9	37.5	19.4	14.3	48.1	18.2	12.9	16.5	15.2	26.9	21.2
გამოცდაზე გავიდა	408	144	32	180	7	27	66	248	79	105	26	113
ფიზიკა	32.7	48.6	41.2	52.0	0	90.0	50.0	53.3	47.1	37.5	28.6	37.8
გამოცდაზე გავიდა	150	35	17	25	0	10	10	75	17	24	7	45
ქართული ლიტ- ერატურა	9.4	10.7	13.6	9.0	11.9	9.5	17.2	20.6	12.4	13.4	12.7	12.6
გამოცდაზე გავიდა	1320	411	199	431	67	137	441	736	322	224	126	498
ხელოვნება	4.9	0	0	16.7	0	0	60.0	0	33.3	0	0	7.7
გამოცდაზე გავიდა	82	10	2	6	1	4	5	3	6	8	3	13

სომსურენოვანმა და აზერბაიჯანულენოვანმა აბიტურიენტებმა ეროვნული გამოცდები ქართულენოვან აბიტურიენტებზე გაცილებით უარესად ჩააბარეს, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

ცხრილი 9

ეროვნულ გამოცდებში არაქართულენოვან ჩაჭრილ აბიტურიენტთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით (%)

საგანი	თბილისი	სამეგრელო	სამცხე-ჯავახეთი	კახეთი	რაჭა-ლეჩხუმი	მცხეთა-მთიანეთი	აჭარა	იმერეთი	აფხაზეთი	ქვე ქართლი	გურია	შიდა ქართლი
ზოგადი უნარები (რუს)	6.6	12.0	0	50.0	0	7.9	0	15.4	16.2	15.1	0	7.1
გამოცდაზე გავიდა	409	25	1	4	1	1	76	13	37	33	2	14
ზოგადი უნარები (სომხ)	36.0	0	33.0	0	0	0	0	0	100	40.8	0	0
გამოცდაზე გავიდა	25	0	230	0	0	0	0	0	2	49	0	1
ზოგადი უნარები (აზერ)	52.4	0	0	35.9	0	0	0	0	0	41.3	0	57.1
გამოცდაზე გავიდა	21	0	0	78	0	0	0	0	1	635	0	7
მათემატიკა (რუსული)	21.8	61.5	100	50.0	0	0	47.0	40.0	30.8	42.8	0	0
გამოცდაზე გავიდა	147	13	1	2	0	0	51	5	13	21	0	2
ისტორია (რუს)	6.6	0	0	0	0	0	23.5	20.0	28.6	20.0	0	0
გამოცდაზე გავიდა	91	0	0	0	0	0	17	5	7	25	0	2
გეოგრაფია (რუს)	13.0	44.4	50.0	0	0	0	14.6	0	27.8	28.6	0	0

გამოცდაზე გავიდა	108	9	2	2	1	0	48	6	18	7	1	4
ბიოლოგია (რუს)	15.4	0	0	0	0	0	0	0	33.3	12.5	0	0
გამოცდაზე გავიდა	39	3	0	0	0	0	6	4	6	8	0	1
ქიმია (რუს)	12.5	0	0	50.0	0	0	14.3	0.1	75.0	0	0	0
გამოცდაზე გავიდა	16	3	0	2	0	0	7	0	4	4	1	0
ფიზიკა (რუს)	33.3	100	0	0	0	0	0	100	0	0	0	0
გამოცდაზე გავიდა	8	1	0	0	0	0	1	1	1	1	0	0

არაქართულენოვანთა შორის ბიჭებმა გოგოებზე ოდნავ უკეთესი შედეგი აჩვენეს ფიზიკაში, გეოგრაფიაში, ზოგად უნარებში (ახერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი) და ქიმიაში.

ცხრილი 10

რუსულ, სომხურ და ახერბაიჯანულ ენებზე ჩაბარებული ეროვნული გამოცდების საგნების რანჟირება ჩატრილთა მიხედვით სქესობრივ ჯგუფში

საგანი	ენა	გოგო %	ბიჭი %	სულ %
ზოგადი უნარები No742	ახერბაიჯანული	42.4	39.8	41.1
ზოგადი უნარები No307	სომხური	29.8	41.0	34.9
მათემატიკა No255	რუსული	31.4	32.2	31.8
ფიზიკა No13	რუსული	60.0	12.5	30.8
ქიმია No37	რუსული	20.0	17.6	18.9
გეოგრაფია No206	რუსული	19.4	12.6	16.0

ბიოლოგია No67	რუსული	9.7	16.7	13.4
ისტორია No147	რუსული	7.1	16.0	11.9
ზოგადი უნარები No616	რუსული	8.9	7.9	8.4

4.4. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა

2014 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა 26377 აბიტურიენტი. ეს გამოცდებზე გასულ აბიტურიენტთა 75.1%-ს შეადგენს. აბიტურიენტთა დაახლოებით ერთი მესამედი პოპულარობით I და II, ასევე კიდევ ერთი მესამედი პოპულარობით მესამე ჯგუფში გაერთიანებულ უნივერსიტეტებში ჩარიცხვა. აბიტურიენტთა წილი ყველაზე მაღალია პოპულარობით მესამე ჯგუფის უნივერსიტეტებში. აღსანიშნავია, რომ I ჯგუფის უნივერსიტეტებიდან – არც ერთი, მეორე ჯგუფიდან – ორი და მესამე ჯგუფიდან – სამი რეგიონში მდებარეობს.

ცხრილი 11

ჩარიცხულთა რაოდენობა უნივერსიტეტების პოპულარობის მიხედვით

უნივერსიტეტის ჯგუფი პოპულარობის მიხედვით	უნივერსიტეტის რანგი	ჩარიცხულთა წილი No 26377
I	1-2	19.0
II	3-8	21.4
III	9-17	31.8
IV	18-62	27.8
სულ		100

ყველა ჯგუფის უნივერსიტეტში გოგონების წილი ბიჭების წილზე უფრო მაღალია, გარდა IV ჯგუფისა, სადაც იგი ტოლია.

ცხრილი 12

უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა რაოდენობა სქესის მიხედვით

უნივერსიტეტის ჯგუფი პოპულარობის მიხედვით	უნივერ- სიტეტის რანგი	გოგო %	ბიჭი %	სულ
I	1-2	54.1	45.9	100
II	3-8	51.2	48.8	100
III	9-17	52.0	48.0	100
IV	18-62	50.0	50.0	100
სულ		51.7	48.3	100

ცხრილი 13

უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ჩარიცხულთა წილი %
თბილისი No8980	34.0
იმერეთი No3967	15.0
აჭარა No2269	8.7
შიდა ქართლი No2122	8.0
ქვემო ქართლი No1906	7.2
კახეთი No1841	7.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი No1736	6.6
აფხაზეთი No1393	5.3
სამცხე-ჯავახეთი No804	3.0
გურია No627	2.4

მცხეთა-მთიანეთი No505	1.9
რაჭა-ლეჩხუმი No227	0.9
სულ No26377	100

წარმატების ყველაზე მაღალი დონე თბილისელ აბიტურენტებთან დაფიქსირდა. მათი 81.7% ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. 75.3% დაფიქსირდა იმერეთისა და კახეთის აბიტურიენტთა შემთხვევაში. ყველაზე ცუდი შედეგი აქვთ სამცხე-ჯავახეთის აბიტურიენტებს, რადგან გამოცდებზე გასულებიდან მხოლოდ 66.5% ჩაირიცხა უნივერსიტეტებში.

ცხრილი 14

რეგიონების რანჟირება გამოცდაზე გასულ აბიტურიენტებიდან უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა წილის მიხედვით

რეგიონი	გამოცდაზე გავიდა რაოდენობა	ჩაირიცხა რაოდენობა	ჩაირიცხა %
თბილისი	10985	8980	81.7
იმერეთი	5270	3967	75.3
კახეთი	2446	1841	75.3
აფხაზეთი	1888	1393	73.8
შიდა ქართლი	2879	2122	73.7
გურია	870	627	72.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2414	1736	71.9
რაჭა-ლეჩხუმი	318	227	71.4
ქვემო ქართლი	2694	1906	70.7
მცხეთა-მთიანეთი	745	505	67.8
აჭარა	3381	2269	67.1
სამცხე-ჯავახეთი	1208	804	66.5
არა საქართველოდან	2		
სულ	35100	26377	75.1

ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტებში ყველაზე დიდია ქვემო ქართლის აბიტურიენტთა წილი, შემდეგ ადგილზეა თბილისი და შემდეგ სამცხე-ჯავახეთი. ქვემო ქართლის წარმატება შესაძლოა გაპირობებულ იყოს რუსთაველი აბიტურიენტების წარმატებით და ამდენად მნიშვნელოვანწილად იყოს გაპირობებული თბილისთან სიახლოვით. II ჯგუფში გამოკვეთილი ლიდერია აჭარა, რაც ამ ჯგუფში ბათუმის უნივერსიტეტის ყოფნით უნდა იყოს გაპირობებული. III ჯგუფში ყველაზე წარმატებული იმერეთია, რაც ისევ და ისევ ამ ჯგუფში ქუთაისის ორი უნივერსიტეტის წევრობით უნდა იყოს გაპირობებული, ისევე, როგორც IV ჯგუფში სამცხე-ჯავახეთის ლიდერობა ამ ჯგუფში სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ყოფნით.

ცხრილი 15

უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა რაოდენობა უნივერსიტეტების პოპულარობისა და აბიტურიენტთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

რეგიონი	I ჯგუფი	II ჯგუფი	III ჯგუფი	IV ჯგუფი	სულ
თბილისი <i>No8980</i>	23.6	20.9	28.6	26.9	100
შიდა ქართლი <i>No2122</i>	17.9	19.4	27.4	35.3	100
მცხეთა-მთიანეთი <i>No505</i>	13.1	23.2	31.8	31.9	100
იმერეთი <i>No3967</i>	16.1	12.9	53.0	18.0	100
სამეგრელო-ზემო სვანეთი <i>No1736</i>	15.3	16.7	32.6	35.4	100
სამცხე-ჯავახეთი <i>No804</i>	21.1	13.7	20.3	44.9	100
კახეთი <i>No1841</i>	19.8	20.9	27.2	32.1	100

რაჭა-ლეჩხუმი No227	11.9	18.9	49.4	19.8	100
ქვემო ქართლი No1906	26.9	24.2	27.4	21.5	100
აჭარა No2269	7.1	43.8	23.1	26.0	100
აფხაზეთი No1393	16.3	18.1	30.8	34.8	100
გურია No627	19.1	21.4	31.8	27.8	100

4.5. ბრანტაპი

2014 წელს ეროვნულ გამოცდებში მიღებული შედეგების მიხედვით სახელმწიფომ გასცა 50%-იანი, 70%-იანი და 100%-იანი გრანტები. 26377 ჩარიცხული სტუდენტებიდან გრანტი სულ მიიღო 6741 სტუდენტმა ანუ 25.5%-მა. სამივე ტიპის გრანტების მიმღებთა შორის გოგონები ჭარბობენ ბიჭებს.

ცხრილი 16

გრანტების მიმღებები სტუდენტების რაოდენობა სქესის მიხედვით

სქესი	50%		70%		100%		სულ	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
გოგო	2202	54.0	743	51.0	617	51.5	3562	52.8
ბიჭი	1884	46.0	714	49.0	581	48.5	3179	47.2
სულ	4086	100	1457	100	1198	100	6741	100

ყველა გრანტის მიმღებთა თითქმის ნახევარი (46.5%) თბილისელია. გრანტების 13.4% კი იმერეთის მაცხოვრებლებმა მიიღეს. 100%-იანი გრანტების მიმღებთა წილი ყველაზე მაღალი (48.7%) სამცხე ჯავახეთშია, შემდეგ კი ქვემო ქართლში.

ცხრილი 17

გრანტების განაწილება რეგიონების მიხედვით

რეგიონები და გრანტის მიმღებთა რაოდენობა	გრანტი 50% No4086	გრანტი 70% No1457	გრანტი 100% No1198	სულ No6741
თბილისი	45.5	49.1	46.9	46.5
შიდა ქართლი	6.6	7.5	5.9	6.7
მცხეთა-მთიანეთი	1.1	1.2	0.8	1.1
იმერეთი	14.2	12.8	11.3	13.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5.3	5.9	3.2	5.0
სამცხე-ჯავახეთი	1.5	1.4	6.6	2.4
კახეთი	6.5	6.0	5.2	6.2
რაჭა-ლეჩხუმი	0.8	0.2	0.3	0.6
ქვემო ქართლი	5.6	5.3	13.4	6.8
აჭარა	5.9	4.1	2.3	4.9
აფხაზეთი	5.0	5.0	3.2	4.7
გურია	2.0	1.6	0.8	1.7
სულ	100	100	100	100

ცხრილი 18

გრანტების მიმღები სტუდენტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

რეგიონები და გრანტის მიმღებთა რაოდენობა	გრანტი 50%	გრანტი 70%	გრანტი 100%	სულ
თბილისი No3137	59.3	22.8	17.9	100
შიდა ქართლი No449	59.9	24.3	15.8	100
მცხეთა-მთიანეთი No72	62.5	23.6	13.9	100

იმერეთი <i>No902</i>	64.3	20.6	15.1	100
სამეგრელო-ზემო სვანეთი <i>No340</i>	63.5	25.3	11.2	100
სამცხე-ჯავახეთი <i>No162</i>	38.3	13.0	48.7	100
კახეთი <i>No415</i>	63.8	21.3	14.9	100
რაჭა-ლეჩხული <i>No38</i>	81.6	7.9	10.5	100
ქვემო ქართლი <i>No 468</i>	49.3	16.4	34.3	100
აჭარა <i>No 328</i>	73.5	18.0	8.5	100
აფხაზეთი <i>No317</i>	65.0	23.0	12.0	100
გურია <i>No 113</i>	70.8	20.4	8.8	100
სულ	60.6	21.6	17.8	100

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში აზერბაიჯანულენოვებისათვის გამოყოფილი იყო 1167 ადგილი, რომელიც მოიპოვა 456 აბიტურიენტმა, ანუ ათვისებულ იქნა კვოტის მხოლოდ 39.1%. სომხურენოვებისათვის გამოყოფილი 1232 ადგილიდან, მოიპოვა 217-მა ანუ 17.6%-მა.

აფხაზურენოვანთათვის გამოყოფილი 231 ადგილი სრულიად აუთვისებელი დარჩა. საერთო ჯამში ათვისებულ იქნა კვოტების მხოლოდ 25.6%.

4.6. შეჯამება

ამგვარად საატესტატო და ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო საცხოვრებელი ადგილის – თბილისის გამოკვეთილი უპირატესობა რეგიონებთან შედარებით. ეს გამოიხატა გამოცდების ზღურბლის გადალახვის, უმაღლესში ჩარიცხვის და შესაბამისად მიღებული გრანტების წილის

მაჩვენებლებში. საგნების მიხედვით გამოიკვეთა ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნის მაღალი და მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნის დაბალი დონე.

ცხრილი 19

ჩარიცხულ აბიტურიენტთა წილი გამოცდაზე გასულ აბიტურიენტებიდან და გრანტის მიმღებთა წილი ჩარიცხულთა რაოდენობიდან რეგიონების მიხედვით

N	მხარე	გამოცდაზე გავიდა	გასულელებიდან ჩაირიცხა	ჩარიცხულებიდან გრანტი აიღო
1	თბილისი	10985	81.7	34.9
2	შიდა ქართლი	2879	73.7	21.1
3	მცხეთა-მთიანეთი	745	67.8	14.2
4	იმერეთი	5270	75.3	22.7
5	სამეგრელო-ზემო სვანეთი	2414	71.9	19.6
6	სამცხე-ჯავახეთი	1208	66.5	20.1
7	კახეთი	2446	75.3	22.5
8	რაჭა-ლეჩხუმი	318	71.4	16.7
9	ქვემო ქართლი	2694	70.7	24.5
10	აჭარა	3381	67.1	14.4
11	აფხაზეთი	1888	73.8	22.7
12	გურია	870	72.1	18.0
	არასაქართველოდან	2		
	სულ	35100	75.1	25.5

გოგოები ბიჭებზე უფრო წარმატებულები იყვნენ. ეროვნული გამოცდის 14 საგნიდან მათი მაჩვენებელი იყო ბიჭების მაჩვენებელზე უკეთესი ყველა საგანში (მათ შორის ყველა საბუნებისმეტყველო საგანში), გარდა გერმანული და ფრანგუ-

ლი ენებისა, სადაც ბიჭზე მეტი გოგო ჩაიჭრა. გოგოების წილი ჭარბობს ბიჭების წილს უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა შორის. განსაკუთრებით დიდი იყო სხვაობა ბიჭებსა და გოგოებს შორის ყველაზე პოპულარულ ორ უნივერსიტეტში – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა შემთხვევაში. გრანტის მიმღებთა შორისაც გოგების წილი აღემატება ბიჭების წილს.

აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი აბიტურიენტების მონაცემები ბევრად ჩამოუვარდება ქართულენოვან აბიტურიენტთა მაჩვენებლებს. განსხვავებით მთლიანად საქართველოსგან მათ შემთხვევაში საცხოვრებელ ადგილს არ აქვს მნიშვნელობა, რადგან თბილისის მაცხოვრებლებმა რეგიონებში კომპაქტურად დასახელებულ აბიტურიენტებზე უკეთესი შედეგები არ აჩვენეს.

5. ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი

5.1. მეთოდოლოგია

მოსწავლეთა გამოკითხვის ადგილად შერჩეულ იყო თბილისი, ახალციხე, ბათუმი, თელავი, ზუგდიდი, ქუთაისი, ყაზბეგი და ამ ქალაქების მიმდებარე სოფლები.

აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები გამოკითხულ იქნენ მარნეულსა და მის მიმდებარე სოფლებში, ხოლო სომხურენოვანი მოსწავლეები – ახალქალაქსა და მის მიმდებარე სოფლებში.

პირველკურსელების გამოკითხვა განხორციელდა საუნივერსიტეტო ქალაქებში – თბილისი, ახალციხე, ბათუმი, თელავი და ქუთაისი.

კვლევისათვის შემუშავდა ორი კითხვარი. მოსწავლეების კითხვარი შედგებოდა 65 კითხვისაგან და მოიცავდა დემოგრაფიულ მონაცემებს, ეკონომიურ მდგომარეობას, სწავლას და ღირებულებებზე. ეროვნული უმცირესობებისათვის განკუთვნილი ანკეტები ანალოგიური იყო იმ განსხვავებით, რომ

მათში რამდენიმე კითხვა იყო დამატებული. ანკეტები მოსწავლეებს მიეწოდებოდათ მათ მშობლიურ ენებზე.

სტუდენტების ანკეტა 81 კითხვისაგან შედგებოდა. მასში შედიოდა მოსწავლეთა ანკეტის მთელი რიგი კითხვები და ასევე კითხვები სტუდენტურ ცხოვრებაზე. ანკეტის კითხვები ეხებოდა დემოგრაფიულ მონაცემებს, ეკონომიკურ მდგომარეობას, სწავლას, სტუდენტურ ცხოვრებას და ღირებულებებს.

გამოკითხვა ჩატარდა ჯგუფურად საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტერვიუერის დასწრებით.

მოსწავლეების გამოკითხვამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის, მშობლების განათლების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ქართული ენის ცოდნის, სასკოლო განათლების ხარისხის ზეგავლენა ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებაზე, ასევე მიგვეღო ინფორმაცია მოსწავლეთა სამომავლო გეგმებზე.

სტუდენტების გამოკითხვამ კი საშუალება მოგვცა დაგვედგინა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის ზეგავლენა უნივერსიტეტში ჩარიცხვაზე და სტუდენტური ცხოვრების ფინანსური ხარჯების მოცულობა.

გეოგრაფიული კონტექსტის ზეგავლენის დასადგენად მოსწავლეთა გამოკითხვის მონაცემები ცალცალკეა განხილული ადგილმდებარეობის მიხედვით – მთლიანად საქართველო, მარნეული და ახალქალაქი.

5.2. დემოგრაფიული მაჩვენებლები

მთლიანად საქართველოში 7 ქალაქის მიმდებარე სოფლების სკოლებში (ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ადგილების გარდა) გამოკითხული იყო 16-დან 20 წლის (საშუალო ასაკი 17.1 წელი) 989 მოსწავლე (46.2% ბიჭი და 53.8% გოგო). მოსწავლეების გამოკითხვა ჩატარდა სახელმწიფო, კერძო და ასევე დევენილთა სკოლებში.

ამასთან ერთად ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებების ადგილებში გამოკითხა 214 აზერბაიჯანელი

ეროვნების მოსწავლე მარნეულსა და მის ახლომდებარე სოფლებში და 186 სომეხი ეროვნების მოსწავლე, ახალქალაქსა და მის მიმდებარე სოფლებში. სულ გამოკითხული იყო 15-დან 19 წლის (საშუალო ასაკი 17.2 წელი) 400 მოწაფე (49.0% ბიჭი და 51.0% გოგო).

5 ქალაქში გამოკითხული იყო 16-27 წლის (საშუალო ასაკი 18.5 წელი) 729 სტუდენტი (37.0% მამრობითი და 63.0% მდედრობითი სქესის).

ამდენად ანგარიში 2,118 რესპონდენტის პასუხებს ასახავს.

ცხრილი 20
რესპონდენტთა განაწილება გამოკითხვის ადგილის მიხედვით (%)

გამოკითხვის ადგილები	სტუდენტი No729	მოსწავლე	
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული/ ახალქალაქი No400
თბილისი	43.8	38.9	0
ახალციხე	14.0	10.1	0
ახალქალაქი	0	0	46.5
ბათუმი	14.2	10.1	0
თელავი	13.6	10.0	0
ზუგდიდი	0	10.3	0
მარნეული	0	0	53.5
ქუთაისი	14.4	10.3	0
ყაზბეგი	0	10.3	0
სულ	100	100	100

მთლიანად საქართველოში (ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ადგილების გარდა) გამოკითხულ მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა (98.6%) ქართველი იყო, უმცირესობებს შორის გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა მარნეულის რაიონში მაცხოვრებელი აზერბაიჯანელი

97.2% იყო, 2.8% კი – ქართველი; ხოლო ახალქალაქის რაიონში ყველა რესპონდენტი სომეხი იყო.

სტუდენტების უდიდეს უმრავლესობას (95.3%) ქართველები შეადგენდნენ, 1.9% იყო სომეხი, 1.2% – აზერბაიჯანელი, 1.5% – სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

მოსწავლეთა ოჯახების წევრების რაოდენობა 1-დან 18-მდე მერყეობდა, ($M=4.7$; $SD = 1.28$). 47.1%-მა მიუთითა, რომ მის ოჯახში ცხოვრობდა 18 წლამდე ასაკის 1-დან 9-მდე ბავშვი ($M=0.7$; $SD= 0.90$).

უმცირესობებში ოჯახების წევრების რაოდენობა 2-დან 11-მდე დიაპაზონში იყო, ($M = 5.03$; $SD=1.28$). 46.5%-მა მიუთითა, რომ ოჯახს ყავდა 18 წლამდე ასაკის 1-დან 4-მდე ბავშვი ($M = 0.7$; $SD = 0.8$).

გამოკითხულ მოსწავლეთა შორის 10.8% იყო დევნილი. მთლიანად საქართველოში 4.3%-მა აღნიშნა, რომ სწავლაში ხელს უშლიდა ერთ-ერთი სახის დაავადება ან ფიზიკური შეზღუდვა.

2.9%-მა გამოკითხულმა მარნეულში აღნიშნა, რომ სწავლაში ხელს უშლიდა ერთ-ერთი სახის დაავადება ან ფიზიკური შეზღუდვა. ახალქალაქში ასეთი არავინ იყო.

5.3. რელიგიურობა

საქართველოს მასშტაბით გამოკითხულ მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობა (94.1%) მართლმადიდებელი იყო, გამოკითხულთა 57.4%-ისათვის რელიგია ძალზე მნიშვნელოვანი, ხოლო კიდევ 36.6%-ისათვის მნიშვნელოვანი იყო.

მარნეულში უდიდესი უმრავლესობა (98.1%) მუსლიმი იყო და 66.7%-ისათვის რელიგია ძალზე მნიშვნელოვანი, ხოლო კიდევ 30.4%-ისათვის მნიშვნელოვანი იყო.

ახალქალაქში უმრავლესობას (81.2%) გრიგორიანელები წარმოადგენდნენ, ხოლო 15.6% კათოლიკე იყო. რელიგია გამოკითხულთა 68.3%-ისათვის ძალზე მნიშვნელოვანი, ხოლო კიდევ 30.4%-ისათვის მნიშვნელოვანი იყო.

ცხრილი 21

რელიგიური მიკუთვნება (%)

რელიგია	სტუდენტი No 729	მოსწავლე		
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალ-ქა- ლაქი No186
მართლმადიდებელი	87.5	94.1	0.5	1.1
გრიგორიანელი	1.0	0	0	81.2
კათოლიკე	0.6	0.9	0	15.5
მაჰმადიანი	6.3	1.4	98.1	0
სხვა	1.4	1.1	0.5	2.2
არ არის მორწმუნე	3.2	2.5	0.9	0
სულ	100	100	100	100

ამგვარად, რელიგია ყველა გამოკითხულისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ან მნიშვნელოვანია. ამაზე მიუთითა ახალქალაქელ მოსწავლეთა 98.4%-მა, მარნეულის მოსწავლეთა 87.1%, მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 94.0% და სტუდენტების 92.9%-მა.


ცხრილი 22

რელიგიური რიტუალების შესრულება (%)

რელიგიური რიტუალების შესრულება	სტუდენტი No 729	მოსწავლე		
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალ-ქალაქი No186
ასრულებს ყველა რიტუალს	11.3	7.8	26.9	9.7
ასრულებს ძირითად რიტუალებს	38.8	39.9	42.9	56.2

იშვიათად ასრულებს ან არ ასრულებს რელიგიურ რიტუ- ალებს	49.9	52.3	30.2	34.1
სულ	100	100	100	100

ძირითადი რელიგიური რიტუალების შესრულების მხრივ მარნეული გამოირჩევა. 69.8%-მა აღნიშნა, რომ ასრულებს ყველა ან ძირითად რიტუალს. ასეთი ახალქალაქში იყო 65.9%, სტუდენტებს შორის 50.1%, ხოლო მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა შორის კიდევ უფრო ნაკლები, 47.7%.




ნახაზი 1
ძირითადი რელიგიური რიტუალების შესრულება

5.4. კომპიუტერის მოხმარება და ენების ცოდნა

კომპიუტერის გამოყენება თითქმის საყოველთაოა. ყველაზე ხშირად მას სტუდენტები, შემდეგ მთლიანად საქართველოს მოსწავლეები, მერე ახალქალაქის მოსწავლეები და ყველაზე ნაკლებად მარნეულელი მოსწავლეები იყენებენ.

ცხრილი 23. კომპიუტერის გამოყენების სიხშირე (%)

სიხშირე	სტუდენტი No729	მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
ხშირად	78.0	75.8	33.3	72.0
იშვიათად	20.2	22.0	51.9	27.4
არ იყენებს	1.8	2.2	14.8	0.6
სულ	100	100	100	100



ნახაზი 2
კომპიუტერის გამოყენება (პასუხი: ხშირად)


მშობლიურის გარდა ერთი ენა იცის სტუდენტების 40.8%-მა; მთლიანად საქართველოს მოსწავლეების 40.2%-მა, მარნეულელების 30.8% და ახალქალაქელების 23.7%-მა. ორი ენა კი იცის ახალქალაქელთა 36.0%-მა, მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 35.0%-მა, სტუდენტების 31.6%-მა და მარნეულელების 23.4%.

ცხრილი 24. ენების ცოდნა

ენების რაოდენობა	სტუდენტი No729	მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალ- ქალაქი No186
მხოლოდ მშობ- ლიური ენა	19.0	15.5	34.1	12.9

ერთი	40.8	40.2	30.8	23.7
ორი	31.6	35.0	23.4	36.0
სამი	7.8	8.4	9.8	21.0
ოთხი	0.8	0.7	1.9	5.9
ხუთი	0	0.2	0	0.5
სულ	100	100	100	100

მშობლიურის გარდა, 1-დან 5-მდე ენა ყველაზე მეტად იციან ახალქალაქელმა, შემდეგ მთლიანად საქართველოს მოსწავლეებმა, ხოლო ყველაზე ნაკლებად მარნეულელებმა.




ნახაზი 3
მშობლიურის გარდა 1-დან 5-მდე ენის ცოდნა

მთლიანად საქართველოს მოსწავლეებმა და სტუდენტებმა უცხო ენებიდან ყველაზე მეტად იცოდნენ ინგლისური (მოსწავლეების 72.6% და სტუდენტების 69.6%) და შემდეგ რუსული (მოსწავლეების 45.5% და სტუდენტების 43.4%), აზერბაიჯანელებმა ქართული (62.5%) და შემდეგ ინგლისური (26.2%), სომხებმა რუსული (77.1%) და შემდეგ ქართული (51.7%). ამგვარად ქართული უფრო მეტმა აზერბაიჯანელმა იცოდა, ვიდრე სომეხმა.

ცხრილი 25
ენების ცოდნა
პასუხი: კარგად და ძალზე კარგად

ენების რაოდენობა	სტუდენტი No729	მოსწავლე		
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
მშობლიური	88.5	90.1	98.6	84.7
ქართული	11.5	9.0	62.5	51.7
აზერბაიჯანული	0.8	0.8	0	2.1
სომხური	2.0	1.7	3.5	15.3
რუსული	43.4	45.5	24.0	77.1
ინგლისური	69.6	72.6	26.2	26.6
სხვა	35.9	40.0	7.5	18.8



ნახაზი 4

ქართული, რუსული და ინგლისური ენების ცოდნა

5.5. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

გამოკითხვებში ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სანდო ინფორმაციის მიღება ყველა ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს. რესპონდენტებს ხშირად არ სურთ ან უჭირთ

ფულადი შემოსავლების მითითება. ამ სირთულის თავიდან ასაცილებლად გამოკითხვებში ხშირად იყენებენ სხვადასხვა შკალებს, რომლებიც მტკიცებულებების სახით არიან წარმოდგენილი. ამ შკალებიდან ყველაზე გავრცელებულია 5 საფეხურიანი შკალა, რომელიც ჩვენს გამოკვლევაშიც იქნა გამოყენებული. კითხვარში ჩვენ ასევე შევიტანეთ შეკითხვა ფულადი შემოსავლის თაობაზე.


საკუთარი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას მოსწავლეების უმრავლესობამ, მთლიანად საქართველოში (63.5%), მარნეულის რესპონდენტთა 65.0%-მა, ახალქალაქის მოსწავლეთა 66.7%-მა და სტუდენტების 64.0%-მა მიუთითა, რომ მის ოჯახს აქვს საჭმლის და ტანსაცმლის ფული და ასევე დასასვენებლად წასვლის შესაძლებლობა.

ცხრილი 26
ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება (%)

	ეკონომიკური მდგომარეობა	სტუდენტები <i>No729</i>	მოსწავლეები		
			მთლიანად საქართველო <i>No989</i>	მარნეული <i>No214</i>	ახალქალაქი <i>No186</i>
1	გაჭირვებით გაგვაქვს თავი, ზოგჯერ საჭმლის ფულიც არ გვაქვს	3.3	2.1	2.9	1.1
2	საჭმლის ფული გვაქვს, მაგრამ ვეჭირვართ ტანსაცმლის ყიდვა	3.3	3.8	5.3	0.5
3	საჭმლისა და ტანსაცმლის ფული გვაქვს, მაგრამ ხანგრძლივი მოხმარების საგნების (მაგ. ტელევიზორის, მაცივრის, და სხვა) ყიდვა არ შეგვიძლია	16.3	15.7	16.1	18.8

4	ხანგრძლივი მოხმარების საგნების ყიდვა და დასასვენებლად სადმე წასვლაც შეევიძლია, მაგრამ მართლაც ძვირადღირებული საგნების (ავტომანქანის, ბინის/სახლის) შეძენა გვიჭირს	64.0	63.5	65.0	66.7
5	გაგვაჩნია სახსრები, რომ უცხოეთში წავიდეთ დასასვენებლად, შევიძინოთ ავტომანქანა, ან ბინა/სახლი	13.1	14.9	10.7	12.9
	სულ	100	100	100	100

ანალიზის გამარტივების მიზნით პასუხები 3 ჯგუფში გაგაერთიანეთ. 1-2 პასუხები მივაკუთვნეთ ღარიბთა, 3 – საშუალო შეძლების, ხოლო 4-5 პასუხები – შეძლებულთა ჯგუფს.



ნახაზი 5
ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

შეკითხვას, თუ დაახლოებით რამდენი იყო ოჯახის შემოსავალი გასულ თვეში, მოსწავლეთა ნახევარმა მთლიანად საქართველოში (52.2%), სტუდენტების 36.6%-მა, აზერბაიჯანელ მოსწავლეთა 55.6%-მა და სომეხ მოსწავლეთა 78.0%-მა არ უპასუხა. 26.9%-მა მთლიანად საქართველოში, სტუდენტების 36.6%-მა, 26.0%-მა მარნეულში და 17.7%-მა ახალქალაქში აღნიშნა, რომ მისი ოჯახის შემოსავალი 1000 ლარს არ აღემატებოდა. ეს კი ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობის, 4 წევრის გათვალისწინებით ნიშნავს, რომ ოჯახის თითო წევრზე 250 ლარი მოდიოდა.

ცხრილი 27

ოჯახის ფულადი შემოსავალი

ოჯახის ერთი თვის ფულადი შემოსავალი	სტუდენტი No729	მოსწავლე		
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
500 ლარამდე	14.4	10.9	13.0	10.2
501-1000	21.7	16.0	13.0	7.5
1001-2000	15.1	10.0	7.2	1.1
2001-3000	6.8	5.4	2.9	2.7
3001-5000	3.5	3.0	6.3	0
5001 და მეტი	2.0	2.6	1.9	0.5
არ იცის	36.5	52.1	55.7	78.0
სულ	100	100	100	100

ეს შეუსატყვისობა აღქმულ ეკონომიკურ მდგომარეობასა და ფულად შემოსავალს შორის ამ ორ შეკითხვაზე გაცემული პასუხების სანდოობას უდავოდ ეჭვქვეშ აყენებს, მაგრამ უფრო სანდოა ზომის არ არსებობის გამო, შემდგომ ანალიზში ჩვენ ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობის შკალის მაჩვენებელს დავყვრდნობით.

5.6. მშობლების განათლება და სამსახურეობრივი სტატუსი

განათლება და სამსახური მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან. მთლიანად საქართველოს მოსწავლეებისა და სტუდენტების, ასევე ახალქალაქელ მოსწავლეთა მშობლების ყველაზე დიდ ნაწილს აქვს უმაღლესი განათლება. ამასთან, ყველგან დედების უფრო დიდ რაოდენობას აქვს დამთავრებული უნივერსიტეტი. მარნეულები მოსწავლეების მშობლების განათლების დონე უფრო დაბალია, აქ მშობელთა ყველაზე დიდ ნაწილს საშუალო განათლება აქვს, თანაც როგორც საშუალო, ასევე უმაღლესი განათლება მამების უფრო დიდ ნაწილს აქვს.

უმაღლესი განათლების მქონე მშობლების ყველაზე დიდი წილი მთლიანად საქართველოს მოსწავლეების, შემდეგ სტუდენტების, შემდეგ ახალქალაქის მოსწავლეების და ყველაზე ნაკლები მარნეულის მოსწავლეების მშობლებთან.

ცხრილი 28

მშობლების განათლების სტატუსი (%)

	სტუდენტი No729		მოსწავლეები					
			მლიანად საქართველო No989		მარნეული No214		ახალქალაქი No186	
	მამა	დედა	მამა	დედა	მამა	დედა	მამა	დედა
დაწყებითი	0.4	0.4	0.2	0.2	0.9	1.4	0	0
საბაზო	1.2	0.8	1.0	0.7	2.8	10.4	2.7	1.1
საშუალო	13.8	12.7	11.5	9.3	56.4	52.7	30.3	37.1
პროფესიული	19.7	19.0	13.2	11.6	8.5	4.3	17.3	7.0
არასრული უმაღლესი	4.4	5.4	3.6	5.4	0.5	6.6	3.2	4.3
უმაღლესი	50.6	58.8	56.5	66.2	17.6	14.3	40.6	45.7
არ იცის/არ ყავს მამა/დედა	9.9	2.9	14.0	6.6	13.3	10.3	5.9	4.8
სულ	100	100	100	100	100	100	100	100

რესპონდენტებს მოეთხოვებოდათ ჩამონათვალში აღენიშნათ, თუ რას აკეთებდნენ მათი მშობლები შემოსავალის მიღების მიზნით. მათ შეეძლოთ რამდენიმე პასუხის აღნიშვნა.

მშობლების დასაქმების სტატუსი თითქმის მსგავსია მთლიანად საქართველოში მოსწავლეებსა და სტუდენტებთან. მათი მამების ყველაზე დიდი ნაწილი სახელმწიფო, კერძო დაწესებულებაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში მსახურობს; შემდეგ კი დიდი იყო მათი წილი, ვისაც კერძო ბიზნესი აქვს. შემდეგ ყველაზე ხშირად მოსწავლეების მამები „ხან რას აკეთებდნენ და ხან რას“, ხოლო სტუდენტების მამები უფრო ხშირად სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. ახალქალაქშიც მამების ყველაზე დიდი წილი მსახურობდა, შემდეგ კი ყველაზე დიდი იყო იმათი წილი, ვინც სოფლის მეურნეობას მისდევდა, შემდეგ კი მათი ვინც ოჯახს “ხან რისი და ხან რისი კეთებით” არჩენდა. მარნეულში ყველაზე დიდი იყო იმ მამების წილი, ვინც სოფლის მეურნეობას მისდევდა, შემდეგ ვისაც საკუთარი ბიზნესი ჰქონდა და შემდეგ “ხან რას აკეთებდა და ხან რას”.

მთლიანად საქართველოში მოსწავლეთა და სტუდენტების დედების ყველაზე დიდი ნაწილი მსახურობდა, შემდეგ ყველაზე დიდი ნაწილი არაფერს აკეთებდა შემოსავალის მისაღებად და მცირე ნაწილს ქონდა კერძო ბიზნესი. მარნეულსა და ახალქალაქში ძალზე დიდი იყო იმ დედების წილი, რომლებიც შემოსავალის მისაღებად არაფერს აკეთებდნენ, მარნეულში შემდეგ ყველაზე მეტი სოფლის მეურნეობას მისდევდა, ხოლო ახალქალაქში მსახურობდა, მარნეულში მესამე ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენდნენ დედები, რომლებიც მსახურობდნენ, ახალქალაქში კი ისინი, ვინც სოფლის მეურნეობას მისდევდა.

ამგვარად, პასუხებიდან ჩანს, რომ დედების მნიშვნელოვნად უფრო დიდი ნაწილი არაფერს აკეთებს შემოსავალის მისაღებად, ეს განსაკუთრებით მარნეულსა და ახალქალაქშია გამოკვეთილი. მამებისა და დედების სამსახურობრივ სტატუსში განსხვავება ყველაზე ნაკლები მთლიანად საქართველოს მოსწავლეებსა და სტუდენტების მშობლებებთან, ხოლო ყველაზე დიდი მარნეულის რაიონში მცხოვრებ მოსწავლეებთან არის.

ცხრილი 29

მშობლების სამსახურეობრივი სტატუსი

(შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის აღნიშვნა)

სამსახურეობრივი სტატუსი	მამა				დედა			
	სტუდენტი No729	მთლიანად ანაღ საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186	სტუდენტი No729	მთლიანად ანაღ საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
მსახურობს სახელმწიფო, კერძო ან საერთაშორისო ორგანიზაციაში	46.4	48.8	21.5	38.7	45.9	47.5	10.3	23.6
აქვს კერძო ბიზნესი	20.0	21.7	24.3	19.9	7.1	8.3	3.7	7.0
მისდევს სოფლის მეურნეობას	14.1	8.0	30.8	36.6	4.2	1.8	10.7	22.0
ხან რას აკეთებს და ხან რას	3.4	16.7	23.8	24.7	3.4	3.4	4.7	2.2
მუშაობს სხვის ოჯახში		0	0	0	2.3	3.4	0.5	3.4
პენსიონერი	2.1	1.5	0.5	1.1	0.8	0.4	0.5	0
არაფერს აკეთებს შემოსავლის მისაღებად	2.5	3.5	1.4	0	44.9	38.4	76.4	65.6

5.7. მოსწავლეთა ბეზმეობა

საკუთარ აკადემიურ წარმატებას სკოლაში მოსწავლეები დაახლოებით ერთნაირად აფასებენ მთლიანად საქართველოში და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ორ რეგიონში. ნახევარზე მეტი თავს საშუალო მოსწრების, მესამედზე მეტი კი წარმატებულ მოსწავლედ მიიჩნევს.

ცხრილი 30
მოსწავლეების მიერ საკუთარი აკადემიური მოსწრების
შეფასება (%)

აკადემიური მოსწრება	მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
წარმატებული	39.2	35.5	42.5
საშუალო წარმატების	57.3	60.2	55.9
წარუმატებელი	3.5	4.3	1.6
სულ	100	100	100


გამოკითხულთა ნაწილს ჯერ არ ჰქონდა გეგმები იმის თაობაზე თუ რას გააკეთებდა სკოლის დამთავრების შემდეგ. მათი რაოდენობა ყველაზე მცირე იყო მთლიანად საქართველოში და ყველაზე დიდი – ახალქალაქში.

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას აპირებს უმაღლეს, ბევრად უფრო მცირე ნაწილი კი პროფესიულ სასწავლებელში.

უმაღლესი განათლებისადმი სწრაფვა მკვეთრად განსხვავებულია მთლიანად საქართველოში და ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების მოსწავლეთა შორის. სწავლის გაგრძელებას აპირებს: მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 90.6%, მათ შორის 86.7% უნივერსიტეტში; ახალქალაქელი მოსწავლეების 69.9%, მათ შორის 57.0% უნივერსიტეტში და მარნეულელი მოსწავლეების 67.0%, მათ შორის 57.1% უნივერსიტეტში. პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის ინტერესი კი ბევრად უფრო დიდია, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ვიდრე მთლიანად საქართველოში (3.9% მთლიანად საქართველოში, 9.9% მარნეულში და 12.9% ახალქალაქში) თუმცა ეს მაჩვენებელი მთლიანობაში მაინც მცირეა.

ცხრილი 31
მომავლის გეგმები

გეგმები	მთლიანად საქართველო №989	მარნეული №214	ახალქალაქი №186
უმაღლესში სწავლა	86.7	57.1	57.0
პროფსასწავლებელში სწავლა	3.9	9.9	12.9
მუშაობის დაწყება	1.5	12.3	2.6
ჯარში წასვლა	2.0	6.6	5.4
უცხოეთში სამუშაოდ წასვლა	0.5	2.7	3.8
დაქორწინება	0.7	1.9	3.2
ჯერ არ იცის	4.6	8.6	16.0
სულ	100	100	100



ნახაზი 6
სწავლის გაგრძელების გეგმები

სწავლის გაგრძელებას არ აპირებს მთლიანად საქართველო-ში გამოკითხულთა 9.4%, მარნეულში 33.0% და ახალქალაქში 30.1%. მთლიანად საქართველოში ამის მიზეზად ყველაზე ხში-


რად ასახელებენ ეროვნული გამოცდების ჩაბარებისათვის საჭირო ცოდნის არ ქონას, მარნეულში სწავლისადმი ინტერესის არ ქონას, ხოლო ახალქალაქში სხვა მიზეზებს, რომლებსაც არ აკონკრეტებენ. ყველა ჯგუფში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სწავლის გაგრძელების მოტივაციის არქონა.

ცხრილი 32

**სწავლის არ გაგრძელების მიზეზები
(შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის აღნიშვნა)**

	მიზეზი	მთლიანად საქართველო No 92	მარნეული No 70	ახალქალაქი No 56
1	სწავლა ნაკლებად მაინტერესებს	19.6	35.7	5.4
2	ფიქრობ განათლებას არ აქვს მნიშვნელობა წარმატების მისაღწევად	10.9	5.7	32.1
3	არ მაქვს საგმარისი ცოდნა უმაღლესში ჩასაბარებლად	23.9	15.7	8.9
4	ოჯახს არ აქვს საგამოცდო საგნებში ჩემი მომზადების შესაძლებლობა	13.0	14.3	7.1
5	ოჯახს არ აქვს უმაღლესში სწავლის საფასურის გადახდის შესაძლებლობა	16.3	14.3	17.9
6	ოჯახს არ აქვს ცხოვრების ფულის გადახდის შესაძლებლობა სწავლისას	6.5	14.3	8.9
7	ფიქრობ გამოცდებს ვერ ჩაებაარებ	6.5	18.6	10.7
8	არ ვიცი ქართული	3.3	20.0	14.3
9	ოჯახი არ გამიშვებს სხვა ქალაქში საცხოვრებლად	1.1	1.4	5.4
10	სხვა	20.7	7.1	39.3

პასუხების მსხვილ კატეგორიებად გაერთიანება მაჩვენა, რომ მთლიანად საქართველოში და მარნეულში ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ეკონომიკური ფაქტორები, ხოლო ახალქალაქში კი ფაქტორები, რომლებიც გამოკითხულებმა არ დააკონკრეტეს.



ნახაზი 7

სწავლის არ გაგრძელების მიზეზები

იმ მოსწავლეთა 82.3%-ს მთლიანად საქართველოში, 54.1%-ს მარნეულში და 70.8%-ს ახალქალაქში, ვინც გეგმავედა უმაღლესში ჩაბარებას ნოემბერში უკვე შერჩეული ქონდა სპეციალობა, ხოლო 73.9%-ს მთელ საქართველოში, 50.5%-ს მარნეულში და 49.5%-ს ახალქალაქში კი ასევე უნივერსიტეტი.

იმ მოსწავლეებმა, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებდნენ და სტუდენტებმაც მიუთითეს, თუ ვისი რჩევით მიიღეს გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების შესახებ და, ასევე რა მოტივით ხელმძღვანელობდნენ პროფესიის შერჩევას.

ყველაზე დიდი გავლენა მშობლებისა და ნათესავების რჩევას ჰქონდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში.

ცხრილი 33
ვისი რჩევით იქნა მიღებული გადაწყვეტილება სწავლის
გაგრძელების შესახებ (%)
(შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის აღნიშვნა)

ვისი რჩევით	სტუდენტები No729	მოსწავლეები		
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალ- ქალაქი No186
მშობლების ან ნათესავების	19,3	15,2	36,0	34,9
პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის	3,1	2,1	10,3	4,8
სკოლის მასწავლებლის	2,3	1,3	12,6	2,2
კერძო მასწავლებლის	1,4	0,8	5,1	2,2
მეგობრების/კლასელების	1,2	2,5	3,7	2,7
სხვა	8,6	8,2	14,5	17,7

სტუდენტების და ყველგან გამოკითხული მოსწავლეების ყველაზე დიდმა ნაწილმა გადაწყვეტილება პროფესიის შერჩევის შესახებ მიიღო პროფესიისადმი ინტერესის გამო. მნიშვნელობით მეორე და მესამე ადგილზე დასახელდა მოცემული სპეციალობით სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა და კარგი ანაზღაურება.

ცხრილი 34
სპეციალობის შერჩევის ფაქტორები
პასუხები: მნიშვნელოვანი და ძალზე მნიშვნელოვანი

ფაქტორები	სტუდენტი No729	მოსწავლეები		
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალ- ქალაქი No186
ინტერესი სპეციალობის მიმართ	98,4	96,6	82,2	95,7

ის, რომ ამ სპეციალობის მქონე პირებს კარგი ანაზღაურება აქვთ	89.6	90.7	76.3	79.6
ის, რომ ამ სპეციალობით სამუშაოს შოვნაა შესაძლებელი	91.2	89.5	79.8	89.3
ის, რომ ამ სპეციალობის მქონე ადამიანებს დიდი დაფასება აქვთ	74.1	77.5	73.3	73.7
ცხოვრებაში მეტი წარმატების მიღწევის შესაძლებლობა	70.7	64.6	47.7	58.1
ის, რომ ამ სპეციალობაზე სწავლა უფასოა	51.3	52.0	51.1	44.7

უნივერსიტეტის არჩევის ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს სტუდენტებისათვის წარმოადგენდა სპეციალობის კარგად სწავლება, უნივერსიტეტის კარგი სახელი, სწავლების საფასური და საუნივერსიტეტო ქალაქში ცხოვრების ფასი; მთლიანად საქართველოს მოსწავლეებისათვის უნივერსიტეტის კარგი სახელი, საუნივერსიტეტო ქალაქში ნათესავეების ყოლა, ჩარიცხვის შანსი და შერჩეული სპეციალობის კარგად სწავლება; მარნეულები მოსწავლეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სპეციალობის კარგად სწავლება, ჩარიცხვის შანსი, სწავლის საფასური და უნივერსიტეტის კარგი სახელი; ახალქალაქელი მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებდნენ სპეციალობის კარგად სწავლებას, უნივერსიტეტის კარგ სახელს, სწავლის საფასურს და ჩარიცხვის შანსს.


ცხრილი 35

უნივერსიტეტის შერჩევის მნიშვნელოვანი ფაქტორები % პასუხები: მნიშვნელოვანია და ძალზე მნიშვნელოვანია

აქტორები	სტუდენტები No729	მოსწავლეები No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
უნივერსიტეტის კარგი სახელი	86.7	96.6	72.2	84.5
საუნივერსიტეტო ქალაქში ნათესავეების ყოლა	59.2	96.0	50.5	60.7

მოცემულ უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფრო დიდი შანსი	57.2	90.7	79.3	74.2
მოცემული სპეციალობის კარგად სწავლება	95.4	89.5	87.5	97.8
საუნივერსიტეტო ქალაქში ცხოვრების საფასური	72.4	84.9	67.2	67.7
უნივერსიტეტამდე მანძილი	51.2	77.5	57.8	47.8
ის, რომ მოცემულ უნივერსიტეტში სწავლა ადვილია	36.3	69.0	68.6	56.8
სწავლის საფასური	83.9	52.0	76.0	76.6
ის, რომ უნივერსიტეტში მეგობრები სწავლობენ	53.4	47.7	59.7	44.7

ამგვარად უნივერსიტეტის შერჩევის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენდა: უნივერსიტეტის კარგი სახელი, საუნივერსიტეტო ქალაქში ნათესავების ყოლა, უნივერსიტეტში ჩარიცხვის შანსი, სწავლის საფასური, და სპეციალობის კარგად სწავლება.



ნახაზი 8

უნივერსიტეტის შერჩევის მნიშვნელოვანი ფაქტორები

სწავლის გაგრძელებას მარნეულის (89.1%) და მთლიანად საქართველოს მოსწავლეების (85.5%) უმრავლესობა საქართველოს უნივერსიტეტებში, ხოლო ახალქალაქის მოსწავლეები სომხეთის (43.0%) უნივერსიტეტებში გეგმავენ. ახალქალაქის მოსწავლეთა შორის სხვა ჯგუფებთან შედარებით ბევრად უფრო დიდია მათი წილი (26.9%), ვისაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ასეთია მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 7.3% და მარნეულელ მოსწავლეთა 5.1%.


მთლიანად საქართველოსა (74.5%) და მარნეულის მოსწავლეთა (84.7%) უდიდესი ნაწილი სწავლის გაგრძელებას თბილისში აპირებს, ხოლო ახალქალაქელი მოსწავლეების 41.4% კი ერევანში.

ცხრილი 36

ქალაქები, სადაც მოსწავლეები სწავლის გაგრძელებას გეგმავენ

ქალაქები	მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
თბილისი	74.5	84.7	25.8
ქუთაისი	3.9	0	0
ბათუმი	4.2	2.9	0.5
ახალციხე	1.3	0.5	0.5
თელავი	1.2	0	0
საქართველოს სხვა ქალაქი	0.4	1.0	1.6
ბაქო	0.2	3.8	0
აზერბაიჯანის სხვა ქალაქი	0.1	1.0	0.5
ერევანი	0.5	1.0	41.4
სომხეთის სხვა ქალაქი	0.2	0	1.6
სხვა	6.2	0	1.3
ჯერ არ გადაუწყვეტია	7.3	5.1	26.9
სულ	100	100	100

ამგვარად, მთლიანად საქართველოს და მარნეულელ მოსწავლეთა უდიდესი ნაწილი სწავლის გაგრძელებას საქართველოს, ხოლო ახალქალაქელების უმრავლესობა სომხეთის უნივერსიტეტებში აპირებს.



ნახაზი 9

ქვეყნები, რომელთა უნივერსიტეტებშიც მოსწავლეები სწავლის გაგრძელებას გეგმავენ

5.8. სასკოლო ბანათლების შეფასება

გამოკითხულთა უმრავლესობა სკოლაში მიღებული ცოდნის გამოცდების მოთხოვნებისადმი შეუსატყვისობაზე მიუთითებს. თუმცა შეფასება მკვეთრად განსხვავებულია მთლიანად საქართველოსა და რეგიონებს შორის. გამოკითხულ მოსწავლეთა 41.0%-ს – მთლიანად საქართველოში, სტუდენტების – 38.8%-ს, 27.7%-ს – მარნეულში და 9.1%-ს – ახალქალაქში მიაჩნია, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი სკოლის დამამთავრებელი გამოცდების ჩასაბარებლად.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ეროვნულ გამოცდებთან მიმართებაში. მთლიანად საქართველოში მოსწავლეთა 71.9%-ს, სტუდენტების 65.9%-ს, მარნეულის მოსწავლეთა 41.5%-ს და ახალქალაქის მოსწავლეთა 55.4%-ს მიაჩნია, რომ სკოლაში მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად.


სკოლაში მიღებული ცოდნის უკმარისობა ბევრად უფრო გამოკვეთილია ეროვნულ გამოცდებთან მიმართებაში, მაგრამ

მკვეთრად დიდია და ძნელი ასახსნელია განსვლა რაც 46.3%-ს აღწევს ახალქალაქის შემთხვევაში. მთლიანად საქართველოში და მარნეულში ის 13%-დან 31%-მდეა.

ცხრილი 37

სკოლაში მიღებული ცოდნის ხარისხი

ცოდნის ხარისხი	საატესტატო გამოცდები				ეროვნული გამოცდები			
	სტუდენტი No729	მოსწავლე			სტუდენტი No729	მოსწავლე		
		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186		მთლიანად საქართველო No989	მარნეული No214	ახალქალაქი No186
საკმარისია	50.7	45.0	51.9	73.1	23.0	13.5	32.1	13.4
არ არის საკმარისი	38.8	41.0	27.7	9.1	65.9	71.9	41.5	55.4
არ ვიცი	10.5	14.0	20.4	17.8	11.1	14.6	26.4	31.2
სულ	100	100	100	100	100	100	100	100



ნახაზი 10

სკოლაში მიღებული ცოდნის ხარისხის შეფასება

პასუხები: საკმარისი არ არის საატესტატო და ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად

გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ მიუთითა, რომ ემზადებოდა ეროვნული გამოცდების საგნებში. ასეთი იყო მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 85.7%, სტუდენტების 78.5%, მარნეულელი მოსწავლეების 64.0% და ახალქალაქელების – 47.3%.

სტუდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა (72.5%) აღნიშნა, რომ ემზადებოდა ზოგად უნარებში, ქართულენოვანი მოსწავლეების 74.9%-მა უცხო ენაში, მარნეულელების 46.3%-მა და ახალქალაქელების 32.2%-მა მეოთხე შერჩევითი საგნიდან ერთ-ერთში.

ცხრილი 38

მომზადება სხვადასხვა საგნებში და მოსწავლეების მიერ მითითებული საფასური (მონა)

	საგნები	ღირებულება ლარებში თვეში	სტუდენტი No729 %	მოსწავლეები		
				მთლიანად საქართველო No989 %	მარნეული No214 %	ახალქალაქი No186 %
1	ზოგადი უნარები	80	72.5	72.3	17.3	17.7
2	ქართული	50	66.8	71.0	43.5	23.6
3	უცხო ენა	100	65.5	74.9	30.4	27.4
4	მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ისტორია, ბიოლოგია, ლიტერატურა, გეოგრაფია, ხელოვნება	100	53.2	58.1	46.3	32.2
5	შემოქმედებითი ტურის საგანი	6.1		5.5	5.9	12.9

ეროვნული გამოცდებისათვის არ ემზადებოდა სტუდენტების 21.5%, მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 14.3%, მარნეულელი მოსწავლეების 36.0% და ახალქალაქელი მოსწავლეების 52.7%.

სტუდენტებისა (38.9%) და მთლიანად საქართველოს მოსწავლეების (39.9%) ყველაზე დიდი ნაწილი ოთხ, ხოლო მარ-

ნეულები (26.2%) და ახალქალაქელი (22.6%) მოსწავლეების ყველაზე დიდი ნაწილი ერთ საგანში ემზადებოდა.

ჩვენ ბოლომდე ვერ ვენდობით რესპონდენტების პასუხებს იმის თაობაზე, თუ რამდენს იხდიდნენ თითოეული საგნის მომზადებაში. რესპონდენტების პასუხების მიხედვით ერთ საგანში მომზადება თვიურად 50-100 ლარის ფარგლებში მერყეობდა, უფრო ხშირად საშუალოდ 80 ლარი იყო.

ცხრილი 39

საგნების რაოდენობა, რომლებშიც მოსწავლეები ემზადებიან კერძო მასწავლებლებთან

საგნების რაოდენობა	სტუდენტი No729 %	მოსწავლე		
		მთლიანად საქართველო No989 %	მარნეული No214 %	ახალქალაქი No186 %
არცერთი	21.5	14.3	36.0	52.7
ერთი	5.6	6.3	26.2	22.6
ორი	9.3	10.7	10.7	8.1
სამი	20.1	24.6	17.3	3.8
ოთხი	38.6	39.9	6.1	0.5
ხუთი	4.9	4.2	3.7	12.3
სულ	100	100	100	100

უხეშად, რომ გავამრავლოთ მომზადების საშუალო საფასური (80 ლარი) საგნების რაოდენობაზე, გამოდის, რომ ოჯახს მოსწავლის ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება თვეში 80-დან 320 ლარამდე უჯდება, რაც 9 თვეზე გამრავლებული მოსამზადებელი საგნების რაოდენობის მიხედვით (1-დან 4-მდე) 720 ლარიდან 2880 ლარამდე ჯდება. ამ დროს ოჯახის ფულადი შემოსავალი საკმაოდ დაბალია. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ მომზადება ოჯახს ძალზე მძიმე ტვირთად აწევს.

5.9. ღეგნოღეგო


სკოლის მოსწავლეოთ შორის იძულებით გოდაოდგიღე-ბული პირები შეადგენდნენ 10.8%. გამოკითხვო ჩოტოროდო თბილისში დეგნიღოთო ორ სკოლასში. პოსუხებში მნიშვნელოვანი განსხვოგებო დეგნიღო დო არადეგნიღო მოსწავლეებს შორის არ აღინიშნო. განსხვოგებო დოფიქსირდო სოკუთარი ოჯოხის აღქმულ ეკონომიკურ სტოტუსში (Chi Square 34.30; df 4; $p < .001$). დეგნიღების მნიშვნელოვნოდ უფრო მცირე ნაწილი (56.7%) თვლიდო სოკუთარ ოჯოხს შექღებულად, ვიდრე არადეგნიღების (80.9%).

დეგნიღების უფრო მცირე ნაწილი (79.2%), შედარებით არადეგნიღებისო (87.9%) ემზოდებოდო კერძო მასწავლებელთონ ეროვნული გამოცდებისოთვის (Chi Square 6.09; df 1; $p < .05$).

5.10. უმოდღესი გონოთღების ხეღმისოწვდომობის ფოქტორები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტების გამოკითხვომ ჩვენ შესოდღებლობო მოგვცო დოგვედგინო უმოდღესი გონოთღების ხეღმისოწვდომობოზე ისეთი ფოქტორების ზეგავლენო, როგორიცოო ოჯოხის ეკონომიკური მდგომარეობო, მშობლების გონოთღების სტოტუსი დო სოცხოვრებელი აღგილი.

ჩვენს მიერ 5 სოუნევრსიტეტო ქოლაქში: თბილისი, ახოდღიხე, ბოთუმი, თეღოვი დო ქუთოისი გამოკითხულ სტუდენტების ყვეღოზე მცირე ნაწილი ყვეღოზე პოპულარულ, ყვეღოზე დიდი კი ყვეღოზე ნოკლებ პოპულარულ უნივერსიტეტების ჯგუფში სწოვეღობდო.



ნახაზი 11

გამოკითხულთა რაოდენობა უნივერსიტეტის პოპულარობის მიხედვით

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა კავშირშია საგამოცდლო საგნებში მომზადებასთან (Chi-square 27.86, df 8, $p < .005$). ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად ყველაზე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტები 4 საგანში ემზადებოდნენ, მაგრამ მათი წილი წრფივად იზრდება ღარიბებიდან (31.3%) შეძლებულულებამდე (46.3%).

ცხრილი 40

ეკონომიკური მდგომარეობა და იმ საგნების რაოდენობა, რომლებშიც სტუდენტები ემზადებოდნენ (%)

საგნების რაოდენობა	ეკონომიკური მდგომარეობა			სულ No717
	ღარიბი No48	საშუალო შეძლების No 116	შეძლებული No553	
არცერთი საგანი	33.3	25.0	19.3	21.2
ერთი	8.3	6.9	5.2	5.7
ორი	22.9	11.2	8.0	9.5
სამი	4.2	21.6	21.2	20.1
4+5	31.3	35.3	46.3	43.5
სულ	100	100	100	100

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა კავშირშია უნივერსიტეტში ჩარიცხვასთან. გამოკითხულთა შორის ყველაზე დიდია იმ სტუდენტების წილი, ვინც საკუთარ ოჯახს შეძლებულად მიიჩნევს.

ჩვენს გამოკითხვაში ისინი სტუდენტთა ყველაზე დიდ ჯგუფს (77.1%) შეადგენენ. განსხვავება უნივერსიტეტებს შორის შეძლების მიხედვით მნიშვნელოვანი იყო (Chi-square 15.45, df 6, $p < .05$). შეძლებული ოჯახების წარმომადგენლების წილი დიდი იყო ყველაზე მეტად (81.6%) და ყველაზე ნაკლებად (81.9%) პოპულარულ უნივერსიტეტების სტუდენტებს შორის. ვფიქრობთ ამ პარადოქსული შედეგის ასხნა შესაძლებელია აბიტურიენტების მონდომების სხვადასხვა დონით. შეძლებულ ოჯახებს ჰყავთ, როგორც სწავლას მონდომებული, ასევე სწავლას ნაკლებად მონდომებული შვილები. ორივე შემთხვევაში შეძლებული ოჯახი, სადაც მშობლებს უმადლესი განათლება აქვთ მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს შვილის განათლებას. ეს გამოიხატება იმ საგნების რაოდენობაში, რომლებშიც აბიტურიენტები ემზადებიან. შესაბამისად დიდი მონდომების მქონე აბიტურიენტები ირიცხებიან ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტებში, ხოლო ნაკლებ მონდომებულები ასერხებენ გამოცდების ჩაბარებას და ირიცხებიან ყველაზე ნაკლებ პოპულარულ უნივერსიტეტებში. ამაზე მოწმობს ცალკე აღებულ ყველაზე ნაკლებ პოპულარულ უნივერსიტეტებში გამოკითხულ სტუდენტების ეკონომიკური მდგომარეობისა და იმ საგნების რაოდენობის ანალიზი, რომლებშიც ისინი ემზადებოდნენ. 4-5 საგანში მომზადებულ სტუდენტთა წილი ღარიბებთან 28%-ს, საშუალო შეძლების სტუდენტებთან 34.3%-ს, ხოლო შეძლებულებთან 47.3%-ს შეადგენს. ამის საპირისპირო ტენდენცია იმ პირთა რაოდენობაშია, ვინც არც ერთ საგანში არ ემზადებოდა – რაოდენობა კლებულობს შეძლების ზრდასთან ერთად (42.9% – ღარიბებთან, 22.9% – საშუალო შეძლების პირებთან და 18.9% – შეძლებულებთან).

თუმცა, კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების შკალის ნაკლებ სანდოობას. ეკონომიკური მდგომარეობისა და უმადლესი განათლების ხელმისაწვდომობის კავშირის შესახებ დიდი დარწმუნებით დასკვნის გაკეთების საშუალებას ასევე არ იძლევა ის ფაქტი, რომ ჩვენი კვლევის მიღმა დარჩნენ ისინი, ვინც გადაწყვიტა

სწავლა არ გაეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში ან ვერ ჩააბარა ეროვნული გამოცდები.

ცხრილი 41

ოჯახის ეკონომიკური სტატუსი და უნივერსიტეტის პოპულარობა

ეკონომიკური სტატუსი	უნივერსიტეტის ჯგუფი				სულ No729
	1 No88	2 No121	3 No245	4 No275	
ღარიბი	3.4	4.2	10.8	5.2	6.7
საშუალო შეძლების	14.9	20.3	18.3	12.9	16.2
შეძლებული	81.6	75.4	71.0	81.9	77.1
	100	100	100	100	100

მშობლების განათლების სტატუსი

საყოველთაოდ არის აღიარებული მშობლების, განსაკუთრებით კი დედის განათლების სტატუსის მნიშვნელობა განათლების სფეროში შეიღების მიღწევაზე.

გამოკვლევაში ცალსახად დადასტურდა ეს კავშირი (Chi-square 64.52, df 9, p<.001). სტუდენტების 68.2%-ის ორივე მშობელს, დამატებით კი 15.5%-ის დედას ქონდა უმაღლესი განათლება მიღებული. ამასთან, ორივე მშობელს უმაღლესი განათლება იმ სტუდენტების 82.8%-ს ქონდა ვინც ჩაირიცხა ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტში.

ცხრილი 42

უმაღლესი სასწავლების პოპულარობა და მშობლების განათლების სტატუსი

უნივერსიტეტის განათლების ქონა	უნივერსიტეტის ჯგუფი				სულ No727 %
	1 No87 %	2 No120 %	3 No245 %	4 No275 %	
არც ერთს	0	22.5	4.5	11.6	9.6
მხოლოდ მამას	4.6	13.3	5.3	5.5	6.6
მხოლოდ დედას	12.6	16.7	20.4	11.6	15.5
ორივეს	82.8	47.5	69.8	71.3	68.2
სულ	100	100	100	100	100

საცხოვრებელი ადგილი

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენს. კვლევამ დაადასტურა თბილისში ცხოვრების კავშირი განათლების ხელმისაწვდომობასთან (Chi-square 76.9, df 3, p<.001). ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტებში თბილისის მაცხოვრებელთა წილი 60.2%-ს შეადგენდა. ეს შედეგი ადასტურებს დედაქალაქის უპირატესობას რეგიონებთან შედარებით რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. თბილისში მეტი კვალიფიცირებული პედაგოგიური კადრია, ასევე დედაქალაქში უნივერსიტეტების დიდი კონცენტრაციის გამო სტუდენტური ცხოვრების საფასური ნაკლებია თბილისელებისათვის, რადგან მათ არ უხდებათ ოჯახისგან განცალკევებით ცხოვრება.

ამგვარად თბილისში სკოლადამთავრებულ აბიტურიენტებს ბევრად უფრო დიდი შანსი აქვთ ისწავლონ პოპულარულ უნივერსიტეტში, ვიდრე რეგიონებში მაცხოვრებელ აბიტურიენტებს.


ცხრილი 43

საცხოვრებელი ადგილი და უნივერსიტეტის პოპულარობა

საცხოვრებელი ადგილი	უნივერსიტეტის ჯგუფი				სულ No729 %
	1 No88 %	2 No121 %	3 No245 %	4 No275 %	
თბილისი	60.2	12.4	32.7	18.2	27.2
დანარჩენი საქართველო	39.8	87.6	67.3	81.8	72.8
სულ	100	100	100	100	100


5.11. უმაღლესი სასწავლებლის არჩევანით კმაყოფილება

სტუდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა (73.9%) სკოლა 2014 წელს დაამთავრა, სკოლის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ ჩაირიცხა 14.8%, დანარჩენმა 11.3%-მა სკოლა უნივერსიტეტში ჩაირიცხვამდე 2-დან 10 წლის წინ დაამთავრა.



ნახაზი 12
სკოლის დამთავრების წელი

სტუდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა (74.4%) მიუთითა, რომ მოხვდა იმ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც პირველ ნომრად ეწერა.




ნახაზი 13
არჩევანი, რომლის მიხედვითაც სტუდენტი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში

უდიდესი უმრავლესობისათვის უნივერსიტეტში სწავლა ძალზე მნიშვნელოვანი (72.6%) ან მნიშვნელოვანია (21.3%).

სტუდენტების 73.6% კმაყოფილია უნივერსიტეტის არჩევით. მათ აღნიშნეს, რომ თავიდან რომ აკეთებდნენ არჩევანს, არაფერს შეცვლიდნენ. ასევე შეკითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილია სპეციალობის გაკეთებული არჩევანით და შეცვლიდა თუ არა მას, 79.9%-მა მიუთითა, რომ არაფერს შეცვლიდა.

ამგვარად სტუდენტები ძირითადად კმაყოფილები არიან სპეციალობისა და უნივერსიტეტის შერჩევით, თუმცა დარწმუნება, რომ სწორი არჩევანი იქნა გაკეთებული უფრო დიდი სპეციალობის, ვიდრე უნივერსიტეტის შემთხვევაში.




ნახაზი 14


კმაყოფილება უნივერსიტეტის და სპეციალობის შერჩევით

5.12. სტუდენტების დანახარჯები

სტუდენტების უმრავლესობა (81.0%) ფასიან, ხოლო შესაბამისად 18.9% უფასო სპეციალობაზე სწავლობს. მათგან ვინც ფასიანზე სწავლობს ყველაზე მეტი (62.4%) წელიწადში 2250 ლარს იხდის. ამ თანხაზე ნაკლებს იხდის 17.8%, ხოლო მეტს – 19.8%.



გამოკითხულთა ერთ მესამედს აქვს გრანტი, მათგან ყველაზე დიდ ნაწილს 50%-იანი. კიდევ 18.7%-ს გადასახადს ან მის ნაწილს უფარავს სოციალური პროგრამა, უნივერსიტეტი ან სხვა წყარო.




რესპონდენტებს გაუჭირდათ ყოველთვიური დანახარჯების ზუსტად მითითება. შეკითხვებს დანახარჯებზე პასუხი დანახარჯების წყაროების მიხედვით მხოლოდ 40%-დან 70%-მა გასცა.

ცხრილი 44
ყოველთვიური დანახარჯები

დანახარჯის წყარო	პასუხების რაოდენობა	საშუალო ლარებში	% საშუალო თვიური დანახარჯიდან
ბინა, შუქი, წყალი, ელექტროენერგია	463	144.5	13.0
საჭმელი	473	173.6	15.6
ტრანსპორტი	543	58.5	5.3
ტელეფონი, ინტერნეტი	522	37.5	3.4
ჯანდაცვა	336	55.5	5.0
გართობა	432	93.9	8.5
ტანსაცმელი	462	163.6	14.8
სიგარეტი, სასმელი	293	42.1	3.8
წიგნები, რეჟულები, მასალების გამრავლება	499	45.9	4.1
სწავლის საფასური	607	224	20.2
სხვა ხარჯები	136	68.3	6.3
სულ	729	1107.4	100

ყველაზე დიდ დანახარჯს სწავლის საფასური წარმოადგენს, შემდეგ კი საჭმელზე დახარჯული თანხა.

თუ ჩვენ გავამსხვილებთ ხარჯების კატეგორიებს, ვნახავთ, რომ მათი ყველაზე დიდი წილი (38.9%) მოდის ცხოვრებაზე (ბინა, საჭმელი, ტრანსპორტი, ჯანდაცვა), შემდეგ კი სწავლაზე და მასთან დაკავშირებულ ხარჯებზე (24.2%).




ნახაზი 17

სტუდენტის დანახარჯები გამსხვილებულ კატეგორიებში.

ამგვარად, სტუდენტს თვეში საშუალოდ საკმაოდ დიდი თანხა 1107 ლარი სჭირდება, რაც ბაკალავრიატში სწავლის 4 წლის მანძილზე 53,136 ლარს შეადგენს. ამას თუ დაემატებთ ეროვნული გამოცდების საგნებში მოსამზადებელ თანხას – 4 საგანი თითოვლად ღირებულებით 80 ლარი და მას გავამრავლებთ მომზადებისათვის საჭირო საშუალო დროზე – 9 თვე, მივიღებთ 2880 ლარს. გამოვა, რომ მომზადება და ბაკალავრიატის სტუდენტობა ჯდება 56,016 ლარი.

სტუდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (67.1%) საკუთარ სახლში ცხოვრობს, 12.9% ცხოვრობს ნათესავთან, 13.1% ბინას ქირაობს, 6.9%-მა არ მუთითა სად ცხოვრობს.

სახლიდან უნივერსიტეტამდე მისასვლელად სტუდენტებს საშუალოდ ნახევარი საათი სჭირდებათ.



ნახაზი 18
უნივერსიტეტამდე მგზავრობის დრო წუთებში

ყველაზე დიდი ნაწილი (74.4%) უნივერსიტეტამდე ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით მგზავრობს.

ცხრილი 45

უნივერსიტეტამდე მგზავრობის საშუალებები

შენიშვნა: შესაძლებელი იყო ერთზე მეტი პასუხის შერჩევა

ტრანსპორტის სახეობა	No729 (%)
ავტობუსი	40.5
სამარშრუტო ტაქსი	33.9
ავტომანქანა	16.1
მეტრო	14.8
ტაქსი	8.5
მატარებელი	0.8
სხვა	15.3

6. ეროვნული გამოცდებისათვის მასწავლებლებთან კერძოდ მომზადების მიზეზები, მისი საფასური და ამ პრაქტიკის უმცველის ბუნება

კვლევამ ცალსახად დაგვიანახა, რომ უმაღლესში ჩარიცხვის მნიშვნელოვან კომპონენტს მასწავლებელთან კერძოდ მომზადება წარმოადგენს და რომ მოსწავლეები ერთი წლის განმავლობაში ყველაზე ხშირად ოთხ საგანში ემზადებიან, რაც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მძიმე ტვირთად აწვება ოჯახს. კერძო მასწავლებლებთან მომზადების მიზეზებისა და ამის თავიდან აცილების გზების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარდა დისკუსიები აბიტურიენტების მშობლებთან, სკოლის მასწავლებლებთან და განათლების რესურს ცენტრების თანამშრომლებთან ქუთაისში, ბათუმში, მარნეულსა და ახალქალაქში. განხილვებში სულ 50 ადამიანმა (44 ქალი, 6 კაცი) მიიღო მონაწილეობა.

6.1. კერძოდ მომზადების საჭიროების მიზეზები

ძირითად მიზეზად დასახელდა სკოლაში მიღებული ცოდნის დაბალი ხარისხი, რაც არაერთი ფაქტორით არის გაპირობებული:

ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთავარ პრობლემას წარმოადგენს მთლიანად განათლების სისტემა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეს საკმარისი ცოდნით. დისკუსიის მონაწილეებმა მიუთითეს, რომ არ ვარგა სასწავლო პროგრამები, სკოლებს არ აქვთ ადეკვატური ტექნიკური ბაზა, რის შედეგადაც მოსწავლეები მოკლებულნი არიან თვალსაჩინოებას.

საჯარო სკოლებში კლასში ბავშვების დიდი რაოდენობა არ იძლევა კარგად სწავლების საშუალებას.

განხილვის მონაწილეთა აზრით არსებობს შეუსაბამობა სასკოლო პროგრამასა და ეროვნული გამოცდების მოთხოვნებს შორის. სკოლაში არ ისწავლება ის საკითხები, რაც ეროვნულ გამოცდებში მოითხოვება. ეს კი მშობლებს აიძულებს რეპეტიტორს მიმართონ.

აბიტურისთვის გამოყოფილი 1 საათი არ არის საკმარისი. ამის გამო მოსწავლეები არ დადიან სკოლაში და არჩევენ კერძოდ მომზადებას.

მე-12 კლასში მოსწავლეთა დასწრება ყველას, განსაკუთრებით კი მასწავლებლების მიერ იქნა მნიშვნელოვან პრობლემად აღიარებული. ამის მიზეზად კი სასწავლო პროცესის არასწორი დაგეგმვა დასახელდა.

მე დავდივარ ყოველ გაკვეთილზე, ველოდები ბავშვებს და ვზივარ ცარიელ კლასში.

(ქალი მასწავლებელი ბათუმში აბიტურის საათზე)

სწავლას ხელს უშლის სახელმძღვანელოების დაბალი ხარისხი.

ბავშვებს კი არა, მასწავლებლებსაც კი უჭირთ სახელმძღვანელოდან რაიმეს ამოკითხვა.

(აბიტურიენტის დედა მარნეულში)

აზერბაიჯანულენოვან სკოლებში პრობლემას წარმოადგენს სახელმძღვანელოების თარგმნის ძალზე დაბალი ხარისხი, რის გამოც ტექსტი ძნელად გასაგებია. დამატებითი მასალები ხშირ-

რად არ არის თარგმნილი სომხურ ენაზე, ხოლო იმის გამო, რომ მოსწავლეები არ ფლობენ ქართულს, ისინი ვერ ახერხებენ მათ გამოყენებას.

აღინიშნა, რომ ზოგიერთ საგანში მაგალითად მუსიკასა და ხელოვნებაში IX-XI კლასებისათვის, საერთოდ არ არსებობს სახელმძღვანელო.

დისკუსიების დროს გამოიკვეთა მასწავლებლებთან დაკავშირებული პრობლემები. აღინიშნა მასწავლებლებში მოტივაციის ნაკლებობა. იმის გამო, რომ ხელფასი მცირეა, მასწავლებელი იძულებულია კერძოდ მოამზადოს ბავშვები.

*40 წელია ვმუშაობ, ვარ სერთიფიცირებული მასწავლებელი, 3 შვილის დედა. სკოლაში ვმუშაობ 360 ლარზე.
(ქალი მასწავლებელი ქუთაისში)*

ხელფასის სიმცირე განაპირობებს კვალიფიცირებული მასწავლებლების დეფიციტს. ახალგაზრდებს აღარ უნდათ მასწავლებლობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა აზერბაიჯანული და სომხურენოვანი სოფლების სკოლებში.

მარნეულში დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბევრი გამოცდილი მასწავლებელი ვერ ახერხებს ახალი მეთოდიკით სწავლებას.

მასწავლებლების მოტივაციის ნაკლებობის გარდა პრობლემას ასევე წარმოადგენს მოსწავლეთა მოტივაცია. დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეები არ არიან დაინტერესებული სკოლაში სწავლით.

დაიკარგა სკოლის ავტორიტეტი. ამას ხელს უწყობს ბევრი მშობლის დამოკიდებულება. ისინი არ მოითხოვენ თავის შვილებისაგან სკოლაში სიარულს, სკოლას კი არ აქვს მოსწავლეებზე ზემოქმედების ბერკეტები.

6.2. სწავლისათვის საჭირო ხარჯები და ფინანსების აკუმულირების სტრატეგიები

უმრავლესობა ახერხებს მომზადების ფულის გაღებას, თუმცა ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახი ვეღარ ფარავს უმაღლესში სწავლის საფასურს. ამის გამო აბიტურიენტები ხშირად ირჩევენ სპეციალობას, სადაც სწავლა უფასოა. ამდენად არ ხდება პროფესიის ინტერესის მიხედვით არჩევა.

ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების ხანგრძლივობა 9-10 თვეა. ფასი განსხვავდება, როგორც ქალაქების ასევე საგნების მიხედვით. ბათუმსა და ქუთაისში ერთი საგანში მომზადება თვეში 80-120 ლარი, მარნეულში 60-80 ლარი, ახალქალაქში 60-140 ლარი ღირს საგნების მიხედვით.

ოჯახები თანხის შოვნის სხვადასხვა სტრატეგიებს იყენებენ. ეს შეიძლება იყოს ბანკიდან კრედიტის აღება, უცხოეთში სამუშაოდ წასვლა, კერძო ბიზნესის წამოწყება, რეპეტიტორობა. მასწავლებლები, რომელთა შვილებიც აბიტურიენტები არიან ხშირად “ბარტერულ” გაცვლას მიმართავენ და ერთმანეთის შვილებს ამზადებენ.

ბათუმელი სტუდენტების ნაწილი, მათგან ვინც თბილისში ჩაირიცხა უნივერსიტეტში ცხოვრების ხარჯების შემცირების მიზნით ბათუმში გადმოდის სასწავლებლად. ახალქალაქელები უფრო ხშირად სომხეთში აგრძელებენ სწავლას და ამის მიზეზად ძირითადად იქ ცხოვრების შედარებით სიაფეს და ნათესავების ყოლას ასახელებენ.

6.3. კერძო მომზადების პრაქტიკის შეცვლის გზები

ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე იქნა დასახელებული რეპეტიტორობის პრაქტიკის შეცვლის გზებიც. უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს განათლების სისტემის შეცვლა. დისკუსიის მონაწილეებმა მიუთითეს სკოლის პრესტიჟის გაზრდის აუცილებლობაზე.

*ბავშვის სწავლის წინა წლებსაც უნდა დაედოს ფასი.
(ქალი მასწავლებელი ბათუმში)*

კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება სწავლის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელ პირობად დასახელდა.

გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მე-12 კლასი მთლიანად ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებას დაეთმოს. ასევე ის, რომ სკოლაში ისწავლებოდეს ზოგადი უნარები.

მნიშვნელოვან პირობად დასახელდა მასწავლებლების მოტივაციის და კვალიფიკაციის გაზრდა, რისი მიღწევაც, დისკუსიის მონაწილეთა მოსაზრებით, მასწავლებლების ხელფასის გაზრდითა და მათი გადამზადებითაა შესაძლებელი.

მასწავლებლებმა ატესტაცია უნდა გაიარონ წელიწადში ერთხელ.

(აბიტურიენტის დედა მარნეულში)

არ არსებობენ უსწავლელი ბავშვები, არსებობენ პედაგოგები, რომლებიც ბავშვებს ვერ ასწავლიან.

(აბიტურიენტის დედა მარნეულში)

დისკუსიის მონაწილეთა აზრით ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და უმუშევრობის შემცირება გაზრდის განათლების მნიშვნელობას. მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის ჩამოყალიბებაში ხაზი გაესვა მშობლების როლს. მარნეულში აღნიშნეს, რომ მოსწავლეების მშობლებს განათლების უფრო დაბალი დონე აქვთ. მოსწავლეები კი ხედავენ, რომ სწავლის გარეშეც ვაჭრობით შეიძლება ფულის შოვნა. აუცილებლად იქნა მიჩნეული მშობლების მეტად ჩართვა სკოლის სასწავლო პროცესში.

ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონების სკოლებში ქართულის სწავლების გაძლიერება, სწავლაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ძალზე მნიშვნელოვან საშუალებად დასახელდა.

რეპეტიტორობის პრაქტიკის შეცვლის გზების დასახელების

გარდა დისკუსიის დროს ასევე გამოითქვა მოსაზრება რეპეტიტორობის დადებითი მხარის შესახებ.

რეპეტიტორობა ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, იმიტომ რომ იგი შედეგის მომცემია. ასევე თუ მოსწავლე გარკვეულ ეტაპზე არ მეცადინებოდა და მერე მოუნდა ცოდნის შექმნა, ის ამას სკოლაში ვერ მოახერხებს, რადგან გაკვეთილი პროგრამის მიხედვით მიდის. კერძო მასწავლებელთან კი ყველაფერი თავიდან იწყება და ჯგუფშიც 2-3 ბავშვია. (აბიტურიენტის მშობელი კაცი ახალქალაქში).

7. ღირებულებები

ინკლუზიურობა და უმცირესობების, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია სახელმწიფოს პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. სწავლისა და მუშაობის თანასწორი შესაძლებლობების არსებობის გარდა ინტეგრაცია უმრავლესობისა და უმცირესობების ღირებულებებში მსგავსებას ეფუძნება. კვლევის ერთი ნაწილი მოსწავლეებისა და სტუდენტების ღირებულებითი ორიენტაციის გაზომვას ემსახურებოდა. ქვემოთ წარმოდგენილია საცხოვრებელი ადგილის – თბილისი, საქართველოს რეგიონები, მარნეული და ახალქალაქი მიხედვით მოსწავლეთა ღირებულებების შედარება. შედარების გამარტივების მიზნით მთელი რიგი ცვლადების შეჯამებით ჩვენს მიერ შექმნილია კომპოზიტი ცვლადები.

7.1. ცხოვრების მხარეები

ზოგადად მოსწავლეთა ქცევას და ასევე მათ გადაწყვეტილებას გააგრძელონ სწავლა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ღირებულება, რომელსაც მოსწავლეები განათლებას უკავშირებენ.

ცხოვრების ჩამოთვლილი 8 სფეროდან, ყველა სფეროში ოჯახის გარდა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ოჯახი ოთხ-

ივე ჯგუფში ყველაზე მნიშვნელოვნად არის შეფასებული. თბილისელებისათვის შემდგომ პრიორიტეტს მეგობრები და ჯანმრთელობა; რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეებისათვის ჯანმრთელობა და მეგობრები; მარნეულელებისათვის ჯანმრთელობა და სამსახური, ხოლო ახალქალაქელებისათვის ჯანმრთელობა და განათლება წარმოადგენდნენ.

განათლება მნიშვნელობით მეოთხე იყო როგორც თბილისელებისათვის (92.7%) ასევე რეგიონის მცხოვრებლებისათვის (95.7%), მესამე მარნეულელებისათვის (84.1% და როგორც ავღნიშნეთ მესამე (93.5%) ახალქალაქელებისათვის.

ცხრილი 46
ცხოვრების მხარეების მნიშვნელობა
პასუხი: მნიშვნელოვანია

	მხარე	თბილისი No384	რეგიონები No 605	მარნე- ული No214	ახალ- ქალაქი No186	Chi-Square, df=6
1	ოჯახი	94.2	97.5	95.5	98.4	n.s.
2	ჯანმრთელობა	92.9	96.7	87.6	98.4	30.8; $p<.001$
3	მეგობრები	93.2	96.2	85.7	93.0	31.2; $p<.001$
4	განათლება	92.7	95.7	84.1	93.5	33.4; $p<.001$
5	სამსახური	83.3	89.0	87.5	93.0	16.5; $p<.05$
6	რელიგია	71.1	87.8	84.8	83.9	48.0; $p<.001$
7	თავისუფალი დრო	66.0	65.3	38.9	42.7	11.6; $p<.001$
8	პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება	19.5	15.5	41.7	24.7	86.9; $p<.001$

7.2. ქმედითეფექტურობა

პიროვნების აქტიურობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის მიერ საკუთარი ქმედებების ეფექტურობის რწმენა. ქმედითეფექტურობის საზომად სამი კითხვა გამოვიყენეთ.


გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს სჯერა, რომ რასაც ადამიანი ცხოვრებაში მიაღწევს თავად მასზეა დამოკიდებუ-

ლი, თავდადებულ შრომას წარმატება მოაქვს და რომ განათლება წარმატების საწინდარია.

ცხრილი 47
ქმედითეფექტურობის აღქმა

მტკიცება	თბილისი No384	რეგიონები No 605	მარნეული No214	ახალქალაქი No186	Chi-Square
ის, თუ ადამიანი რას მიაღწევს ცხოვრებაში უფრო მასზეა დამოკიდებული	79.8	81.7	89.1	89.2	14.32; df 3; p<.005
თავდადებულ შრომას წარმატება მოაქვს	64.7	76.9	62.0	86.0	53.0; df 6; p<.001
განათლებული ადამიანი საბოლოოდ წარმატებას მიაღწევს	73.3	72.7	74.0	45.7	56.7; df 3; p<.001

ჩვენ ამ სამი ცვლადის გაერთიანებით შევქმენით ქმედითეფექტურობის კომპოზიტი ცვლადი, რომელიც მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გავაანალიზეთ. განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ქმედითეფექტურობის განცდა ყველაზე მაღალია საქართველოს რეგიონებში და ყველაზე დაბალია ახალქალაქში.




ნახაზი 19

ქმედითეფექტურობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

7.3. მონაწილეობა

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს აქტიურ ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის ერთ-ერთ საწინდარს კი იმის რწმენა წარმოადგენს, რომ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით არის შესაძლებელი. ეროვნული უმცირესობები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ეთნიკურად ქართული მოსახლეობისაგან ამ მრწამსის მიხედვით (*Chi-Square 95.2: df 6, p < .001*). მონაწილეობის მნიშვნელობის აღქმა ყველაზე მაღალია თბილისში და ყველაზე დაბალი ახალქალაქში.



ნახაზი 20
მონაწილეობის მნიშვნელობა
პასუხი მნიშვნელოვანია

7.4. მატერიალური და პოსტ-მატერიალური ღირებულებები და სოციალური ნდობა

მატერიალური და პოსტ-მატერიალური ღირებულებები ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ან მისი დამკვიდრების პოტენციალის მაჩვენებლად გამოიყენება (Inglehart, R. & Welzel, Ch. 2009). დემოკრატიის პირობას პოსტ-მატერიალური ანუ თვით-გამოსატვის ღირებულებები წარმოადგენს. მათი აღმოცენება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია მატერი-

აღწერილობითი ანუ გადარჩენისათვის აუცილებელი ღირებულებები. კითხვარში შეტანილი იყო ამ ღირებულებითი ორიენტაციის საზომი მსოფლიო ღირებულებათა გამოკითხვის (WVS, 2008) სტანდარტული კითხვა. კითხვა 4 პასუხს მოიცავს, საიდანაც რესპონდენტს ორი, მისთვის ყველაზე მისაღები პასუხის შერჩევა მოეთხოვება. მატერიალური ღირებულებების პასუხებია – „ქვეყანაში წესრიგის დაცვა“ და „ფასების ზრდის შეჩერება“, ხოლო პოსტ-მატერიალურის „ადამიანებს ჰქონდეთ მთავრობის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება“ და „სიტყვის თავისუფლების დაცვა“.

ცხრილი 48

პასუხები მატერიალურ და პოსტ-მატერიალურ კითხვებზე
შენიშვნა: ყოველი რესპონდენტი აკეთებდა ორ არჩევანს

მტკიცება	თბილისი No384	რეგიონები No605	მარნეული No214	ახალ- ქალაქი No186
ქვეყანაში წესრიგის დაცვა	36.5	37.8	33.8	40.2
სიტყვის თავისუფლების დაცვა	28.7	28.9	25.5	28.6
ფასების ზრდის შეჩერება	17.8	20.6	20.9	14.5
ადამიანს ჰქონდეს საშუალება ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის გადაწყვეტილებებზე	17.0	12.6	19.8	16.7


გამოკითხვამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა (64.2%) არჩევანს შერეულ ორიენტაციაზე – ერთ მატერიალურ და ერთ პოსტ-მატერიალურ ღირებულებაზე აკეთებდა. ყველაზე ხშირად არჩეული იყო ქვეყანაში წესრიგის დაცვა და სიტყვის თავისუფლება. აღინიშნა განსხვავება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (*Chi-Square 17.81; df 4; p < .005*). პოსტ-მატერიალური ორიენტაცია ყველაზე მაღალი იყო ახალქალაქში, ხოლო მატერიალური – საქართველოს რეგიონებში.

ცხრილი 49

მატერიალური და პოსტმატერიალური ღირებულებები

ღებულება	თბილისი No384	რეგიონები No605	მარნეული No214	ახალქალაქი No186
შერეული	68.3	64.1	72.1	55.6
მატერიალისტური	19.5	26.3	18.8	27.1
პოსტ-მატერიალისტური	12.2	9.6	9.1	17.3
სულ	100	100	100	100

სოციალური ნდობა, ანუ ზოგადი ნდობა უცხო ადამიანების მიმართ ასევე წარმოადგენს დემოკრატიის საფუძველს. საკმაოდ მცირეა იმ მოსწავლეების წილი რომელიც ფიქრობს, რომ ადამიანთა უმრავლესობა ნდობას იმსახურებს. სოციალური ნდობა, პოსტმატერიალური ღირებულების მსგავსად ყველაზე მაღალი ახალქალაქში, ხოლო ყველაზე დაბალი მარნეულშია.




7.5. ტრადიციული ღირებულებები

ანკეტის 5 კითხვა ტრადიციული ღირებულებების გაზომვას ემსახურებოდა. თბილისში და რეგიონებში ყველაზე მეტი მოსწავლე ფიქრობდა, რომ ადამიანმა ყველაფერი გვერდზე უნდა გადადოს ოჯახის წევრის დასახმარებლად, ხოლო მარნეულსა და ახალქალაქში მიაჩნდათ, რომ ოჯახის წევრებმა ერთად უნდა აღნიშნონ მნიშვნელოვანი დღესასწაულები.

ცხრილი 50
ტრადიციული ღირებულებები

		თბი- ლისი <i>No384</i>	რეგი- ონები <i>No605</i>	მარნეუ- ლი <i>No214</i>	ახალ- ქალაქი <i>No186</i>	Chi- Square; <i>df 6;</i> <i>p<.001</i>
1	ოჯახმა ერთად უნდა აღნიშნოს მნიშვნელოვანი დღესასწაულები	81.1	87.0	88.1	95.7	25.0
2	ადამიანმა ყველაფერი გვერდზე უნდა გადასდოს ოჯახის წევრის დასახმარებლად	88.7	87.9	70.6	78.5	67.4
3	ოჯახი ყოველდღე ერთად უნდა სადილობდეს	36.0	49.5	76.7	52.7	98.4
4	ღელამ ბავშვზე უკეთ იცის მას რა სჭირდება	23.8	44.3	67.9	65.6	147.6
5	ბავშვს არ უნდა ჰქონდეს უფლება სიტყვა შეუბრუნოს მშობელს	20.7	39.7	67.9	69.9	191.8

5 პასუხის გაერთიანებით ჩვენს მიერ შექმნილი ტრადიციული ღირებულების კომპოზიტ ცვლადზე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პასუხების შედარებამ ცხადყო მნიშვნელოვანი განსხვავება. ტრადიციული ღირებულებები ყველაზე მკვეთრად ახალქალაქში და ყველაზე ნაკლებად თბილისშია გამოკვეთილი.



ნახაზი 22
ტრადიციული ღირებულებები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით


7.6. გენდერული თანასწორობა

მოსწავლეთა დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ ხუთი დებულების მიხედვით გაიზომა. საერთო ჯამში, ამ ხუთი დებულებიდან ყველგან ყველაზე მეტად მხარდაჭერილი იყო მოსაზრება, რომ თუ ოჯახს ერთი შვილი უნდა ყავდეს, ჯობს ეს ბიჭი იყოს.

ცხრილი 51 გენდერული თანასწორობა

მტკიცება	თბილისი No384	რეგიონები No605	მარნეული No214	ახალქალაქი No186	Chi-Square, $p < .001$
1 თუ ოჯახს ერთი შვილი უნდა ყავდეს, უმჯობესია, ეს ბიჭი იყოს	68.3	74.6	78.3	84.6	17.9; $df3$
2 თანასწორობა კარგია, მაგრამ საბოლოო სიტყვა ოჯახში კაცს უნდა ეკუთვნოდეს	30.7	47.3	71.0	83.9	186.1; $df6$
3 ყველასათვის უკეთესია, როდესაც კაცი მუშაობს ქალი კი ოჯახს უვლის	24.6	31.2	49.8	60.8	115.0; $df6$
4 უმაღლესი განათლება ბიჭისათვის უფრო მნიშვნელოვანია	13.9	15.2	42.2	40.3	114.1; $df3$
5 საბუშო ადგილების სიმცირის შემთხვევაში კაცს უნდა მიენიჭოს უპირატესობა	10.5	13.8	45.5	37.6	183.2 $df6$

ამ 5 ცვლადის გაერთიანებით მიღებული გენდერული თანასწორობის კომპოზიტი ცვლადის ანალიზმა ასევე დადასტურა განსხვავება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ($Chi-Square 261.2; df 12, p < .001$). თანასწორობას ყველაზე მეტი მხარდამჭერი თბილისში, შემდეგ რეგიონებში ყავს. ბევრად უფრო მცირეა გენდერული თანასწორობის მომხრე ახალქალაქსა და მარნეულში.



ნახაზი 23

გენდერული თანასწორობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

7.7. შემოქმედებლობა

ჩვენ შევეცადეთ გაგვეზომა მოსწავლეების შემოქმედებლობა. ამის საზომად კი გამოვიყენეთ სოციალური დისტანციის საზომი – სხვადასხვა ჯგუფებთან მეზობლად ცხოვრების სასურველობა. სხვადასხვა ადგილას მცხოვრები მოსწავლეები ერთგვაროვან დამოკიდებულებას ამჟღავნებენ კითხვარში შესაფასებლად წარმოდგენილი ჯგუფების მიმართ, თუმცა განსხვავება ოდენობაშია. ყველასათვის ყველაზე ნაკლებ მისაღებია ნარკომანების, შემდეგ ფსიქიურად დაავადებული პირების, სხვა რელიგიის წარმომადგენლების და ყველაზე ნაკლებად უცხოელების მეზობლად ცხოვრება.

ცხრილი 52

სხვადასხვა ჯგუფების მიმართ მიმდებლობა

პასუხი: არ არის მისაღები

	ჯგუფი	თბილისი No384	რეგიონები No605	მარნეული No214	ახალქალაქი No186	Chi-Square, df 6, p<.001
1	ნარკომანების	80.8	82.4	58.8	93.5	86.0
2	ფსიქიურად არამდგრადი ადამიანების	60.1	65.4	51.5	72.0	31.8

3	სხვა რელიგიის წარმომადგენლების	13.6	26.0	32.3	30.6	70.0
4	უცხოელების	7.3	10.9	21.9	9.1	64.1

7.8. პიროვნული თვისებები

ღირებულებებთან არის დაკავშირებული პიროვნული თვისებების მოწონება. კითხვარში მოსწავლეებს მოეთხოვებოდათ მნიშვნელობის მიხედვით შეეფასებინათ ერთის მხრივ თვისებები, რომლებიც ბავშვმა შეიძლება სახლში შეიძინოს და მეორეს მხრივ პიროვნული თვისებების ნუსხა.

II ჩამოთვლილი თვისებიდან, რომელიც ბავშვმა შეიძლება სახლში შეიძინოს, ერთის – ფულის ყადრის ცოდნის გარდა, ყველაზე აღმოჩნდა ჯგუფებს შორის განსხვავება. პასუხისმგებლობის გრძნობა, საზოგადოებაში მოქცევის წესების ცოდნა და მიზანსწრაფულობა ყველაზე მნიშვნელოვან სამ თვისებას წარმოადგენდა თბილისსა და რეგიონებში; მარნეულელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებაში მოქცევის წესების ცოდნა, ის, რომ ბავშვი დამჯერი იყოს და იცოდეს ფულის ყადრი. ახალქალაქელები უპირატესობას ანიჭებენ ასევე საზოგადოებაში მოქცევს წესების ცოდნას, პასუხისმგებლობის გრძნობის ქონას და მიმტკვებლობას.

ცხრილი 53

თვისებები, რომლების ბავშვმა სახლში შეიძლება შეიძინოს პასუხი: მნიშვნელოვანია

	თვისება	თბილისი No384	რეგიონები No605	მარნეული No214	ახალქალაქი No186	Chi-Square, df, p<.001
1	იცოდეს საზოგადოებაში მოქცევის წესები	79.1	77.5	60.8	72.6	31.6; p<.001
2	პქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა	81.4	79.3	35.0	74.2	217.9; p<.001

3	იყოს მიზანსწრაფული	76.4	71.9	40.5	66.1	86.0; <i>p</i> <.001
4	შრომისმოყვარე	68.8	70.4	39.3	62.9	67.9; <i>p</i> <.001
5	იყოს მიმტვევებელი და პატივის სცემდეს სხვებს	64.8	64.7	52.3	68.3	15.5; <i>p</i> <.05
6	იყოს მორწმუნე	53.2	66.7	39.2	30.6	125.4; <i>p</i> <.001
7	დამოუკიდებელი	66.8	59.0	25.1	35.1	165.8; <i>p</i> <.001
8	იცოდეს ფულის ყადრი, შეეძლოს ფულის დაზოგვა	48.7	49.6	53.3	58.6	n.s.
9	არ იყოს ეგოისტი და სხვებზე ზრუნავდეს	55.9	51.5	37.0	44.9	23.5; <i>p</i> <.005
10	ჰქონდეს წარმოსახვის უნარი	49.9	43.6	21.2	39.5	65.4; <i>p</i> <.001
11	იყოს დამჯერი	32.1	38.2	56.6	29.6	52.1; <i>p</i> <.001

პიროვნული თვისებების ნუსხადან, რომელიც 12 თვისები-საგან შედგებოდა ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ყველა თვისების შეფასებაში დაფიქსირდა. ოთხივე ჯგუფში სამ ყველაზე მნიშვნელოვან თვისებას შორის დასახელდა მეგობრების ერთგულება; კიდევ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება თბილისელებისათვის ახალი იდეების ქონა და სხვებისთვის დახმარებაა; რეგიონის მაცხოვრებლებისათვის ის, რომ ადამიანი იყოს მორწმუნე და ეხმარებოდეს სხვებს; მარნეულელებისა და ახალქალაქელებისათვის ის, რომ სარგებლობდეს პატივისცემით და ეხმარებოდეს სხვებს.

ცხრილი 54

პიროვნული თვისებების შეფასება

პასუხი: მნიშვნელოვანია

	თვისება	თბილისი No384	რეგიონები No605	მარნეული No214	ახალქალაქი No186	Chi-Square, <i>df</i>
1	იყოს მეგობრების ერთგული	86.6	91.5	85.9	90.8	17.3; <i>p</i> <.05

2	ეხმარებოდეს სხვებს	66.6	74.9	80.5	75.1	17.7; $p<.05$
3	ჰქონდეს ახალი იდეები და იყოს შემოქმედებითი	72.8	72.7	61.9	53.0	33.1; $p<.001$
4	იქცეოდეს საზოგადოებაში მიღებული წესების მიხედვით	65.8	72.5	54.2	65.2	30.6; $p<.001$
5	სარგებლობდეს პატივისცემით	49.6	63.3	87.3	81.6	120.3; $p<.001$
6	იყოს წარმატებული	57.6	66.9	75.4	63.4	26.8; $p<.001$
7	იყოს მორწმუნე	53.4	73.7	58.5	45.7	78.2; $p<.001$
8	იყოს თავმდაბალი	48.7	59.8	53.8	57.8	165.1; $p<.001$
9	იცავდეს ტრადიციებს	34.0	55.0	57.4	56.8	72.6; $p<.001$
10	კარგად ატარებდეს დროს	39.4	31.5	68.3	51.4	103.5; $p<.001$
11	იყოს რისკის და თავგადასავლების მოყვარული	32.8	43.6	39.6	23.2	167.0; $p<.001$
12	იყოს მდიდარი	8.9	12.2	28.1	28.1	75.8; $p<.001$

7.9. მიუღებელი ძველები

სწორი, საზოგადოებაში მიღებული ღირებულებების კვალდაკვალ მნიშვნელოვანია გარკვეული ქცევების მიმართ მიუღებლობა. კითხვარში ჩამოთვლილი იყო ქცევები, რომელთა მიუღებლობის ხარისხიც მოსწავლეებს უნდა შეეფასებინათ. ყველა ქცევის შეფასებაში ცოლის ცემის გარდა, ჯგუფებს შორის განსხვავება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. თბილისელებსა და რეგიონის მაცხოვრებლებისათვის ყველაზე მიუღებელი იყო ცოლის ცემა, ბავშვის ცემა და დის ან ძმის ცემა; მარნეულელებისათვის – „პლანის” მოწვევა, ცოლის ცემა და ბავშვის ცემა; ახალქალაქელებისათვის – ცოლის ცემა, „პლანის” მოწვევა და ბავშვის ცემა.

ცხრილი 55

მიუღებელი ქმედებები

პასუხი: სრულიად გაუმართლებელია

ქმედება	თბილისი No384	რეგიონები No605	მარნეული No214	ახალქალაქი No186	Chi-Square, df 12
ცოლის ცემა	88.8	85.6	79.5	84.9	n.s.
ბაეშვის ცემა	87.2	83.3	75.4	77.4	23.1;p<.05
დის ან ძმის ცემა	80.7	81.3	73.5	76.3	23.2;p<.05
„პლანის“ მოწვევა	69.5	75.2	84.2	84.9	29.0;p<.005
მოპარული ნივთის ყიდვა	21.0	31.4	75.2	42.5	197.7;p<.001
საკუთარი ინტერესების მისაღწევად ტყუილის თქმა	14.8	30.0	55.3	39.2	180.7;p<.001
ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევა	15.1	26.7	45.2	30.1	99.5;p<.001
ქუჩაში უადგილო ადგილას გადასვლა	13.6	16.0	47.5	36.6	160.2;p<.001
გამოცდაზე გადაწერა	8.3	22.2	50.7	17.7	166.3;p<.001
ტრანსპორტში უფასოდ მგზავრობა	8.7	17.5	31.8	24.2	77.8;p<.001
ტყუილის თქმა, თუ ეს თქვენს მეგობარს სჭირდება	4.4	8.7	38.6	12.4	270.3;p<.001

8. ძირითადი შედეგების შეჯამება

8.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები

2014 წელს საშუალო სკოლის პროგრამა გაიარა 37189 მოსწავლემ. საატესტატო გამოცდებზე ჩაიჭრა 14.1%. ამგვარად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გასვლის უფლება 31954 მოს-

წავლემ მოიპოვა. ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად სულ დარეგისტრირდა 35100 აბიტურიენტი (50.8% გოგო და 49.2% ბიჭი).

წილობრივად ყველაზე მეტი აბიტურიენტი ჩაიტრა ფიზიკაში (42.4%), მათემატიკასა (22.3%) და ქიმიაში (17.6%), ყველაზე ნაკლები ქართულ ენასა და ლიტერატურაში (5.4%). ყველა საგანში, გარდა გერმანული და ფრანგული ენებისა, ჩატრილთა შორის ბიჭები ჭარბობენ გოგოებს.

თბილისელი ქართულენოვანი აბიტურიენტები უფრო წარმატებული არიან რეგიონის აბიტურიენტებთან შედარებით. როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში მცხოვრები სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების აკადემიური მიღწევა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ქართულენოვან აბიტურიენტების წარმატებას. აზერბაიჯანელმა და სომეხმა ბიჭებმა ქართულენოვანი აბიტურიენტებისგან განსხვავებით გოგოებზე უკეთ ჩააბარეს გამოცდები. ცხრა საგამოცდო საგანიდან ხუთში ჩატრილ გოგონათა წილი ბიჭებისას აღემატება.

აბიტურიენტების მიერ გაკეთებული პირველი არჩევანისა და უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებულ ადგილების შეფარდებაზე დაყრდნობით საქართველოში აკრედიტირებული 62 უნივერსიტეტი ჩვენ ოთხ ჯგუფში გავაერთიანეთ. პირველ ჯგუფში შევიდა 2 უნივერსიტეტი, სადაც ერთ ადგილზე 2 აბიტურიენტზე მეტი მოდიოდა, მეორეში 6 უნივერსიტეტი, სადაც ადგილზე 1-დან 2 აბიტურიენტამდე მოდიოდა, მესამეში გაერთიანდა 9 უნივერსიტეტი, სადაც ადგილზე 0.5-დან 1 აბიტურიენტამდე მოდიოდა. დანარჩენ 45 უნივერსიტეტში ადგილზე 0.5-მდე განაცხადი იყო გაკეთებული. სულ უნივერსიტეტების მიერ გამოცხადებული იყო 46097 ადგილი, აბიტურიენტების რაოდენობა კი 35100, 76.1%-ს შეადგენდა. სულ ჩაირიცხა 26377 აბიტურიენტი. ამგვარად სტუდენტებმა დაიკავეს ადგილების 57.2%, რაც გამოცდაზე გასულთა 75.1%-ს შეადგენს. სტუდენტებს შორის ჭარბობენ გოგოები (51.7%). სქესის მიხედვით განსხვავება ყველაზე დიდი, 8.1%, ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტებშია. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ერთიან

ეროვნულ გამოცდებზე გასული აბიტურიენტების რაოდენობიდან ყველაზე დიდი წილი ჩაირიცხა თბილისიდან (81.7%), შემდეგ კი იმერეთიდან და კახეთიდან (75.3% თითოეულიდან). ყველაზე ცუდი შედეგი სამცხე-ჯავახეთის აბიტურიენტებმა აჩვენეს. ამ რეგიონიდან გამოცდებზე გასული აბიტურიენტების მხოლოდ 66.5% ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში.

უნივერსიტეტების პირველ, ყველაზე პოპულარულ ჯგუფში ჩარიცხვის მიხედვით ლიდერობს ქვემო ქართლი (26.9%), თბილისი (23.6%) და კახეთი (19.8%). მოსახლეობის რაოდენობისა და გამოცდების წარმატებით ჩაბარების ფაქტებიდან გამომდინარე სტუდენტებს შორის ყველაზე მეტი თბილისის (34.0%), შემდეგ კი იმერეთის (15.0%) და აჭარის (8.7%) მაცხოვრებელია.

სახელმწიფო გრანტი სწავლის საფასურის 50%, 70% ან 100% ოდენობით სტუდენტთა 25.5%-მა მიიღო. გრანტის მიმღებთა შორისაც გოგოები ჭარბობენ (52.8%).

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ყველაზე მეტი გრანტი თბილისელმა სტუდენტებმა (46.5%) მიიღეს, შემდეგ კი სტუდენტებმა იმერეთიდან (13.4%) და ქვემო ქართლიდან (6.8%). ყველაზე ნაკლები გრანტები (0.6%) რაჭა-ლეჩხუმის სტუდენტებმა მოიპოვეს.

აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან აბიტურიენტებისთვის კვლით იყო გათვალისწინებული ადგილები – აზერბაიჯანულენოვანებისათვის 1167 ხოლო სომხურენოვანებისათვის 1232 უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის ერთწლიან მოსამზადებელ კურსზე ჩარიცხვის პირობას ზოგად უნარებში გამოცდის მშობლიურ ენაზე ჩაბარება წარმოადგენდა. ქართული ენის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ სტუდენტები მათ მიერ შერჩეულ ფაკულტეტზე ირიცხებოდნენ. აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტთა 39.1%-მა და სომხურენოვან აბიტურიენტთა 17.6% დაიკავა კვლით გათვალისწინებული ადგილები.

ამგვარად საატესტატო და ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზმა ცხადყო საცხოვრებელი ადგილის – თბილისის გამოკვეთილი უპირატესობა რეგიონებთან შედარებით. ეს

გამოიხატა გამოცდების ზღურბლის გადალახვაში, უმაღლეს-ში ჩარიცხვასა და შესაბამისად, მიღებული გრანტების წილ-ში. გოგონებმა თითქმის ყველა მაჩვენებელში – საატესტო და ეროვნული გამოცდების ჩაბარება, უნივერსიტეტში ჩარიცხვა და გრანტების აღება – უპირატესობა მოიპოვეს ბიჭებთან შედარე-ბით. ეროვნული გამოცდების 14 საგნიდან მათი მაჩვენებელი იყო ბიჭების მაჩვენებელზე უკეთესი ყველა საგანში, მათ შორის ყველა საბუნებისმეტყველო საგანში. გამონაკლისს წარმოად-გენდა გერმანული და ფრანგული ენების გამოცდები, სადაც ბიჭზე მეტი გოგო ჩაიჭრა. განსაკუთრებით დიდი იყო ბიჭებსა და გოგონებს შორის სხვაობა ყველაზე პოპულარულ ორ უნი-ვერსიტეტში – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტებში ჩარიცხულთა შორის.

8.2. ემპირიული კვლევისა და დისკუსიების შედეგები

მთლიანად საქართველოს, მარნეულისა და ახალქალაქის მოსწავლეთა და სტუდენტების გამოკითხვის ძირითად მიზანს უმაღლესი განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელ-ლი ფაქტორების იდენტიფიკაცია წარმოადგენდა.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ფაქტორები

ჩვენ უმაღლესი განათლების მიღების ხელისშემშლელ ფაქტორთა ორი ჯგუფი გამოვყავით:

1. განათლების მიღების მოტივაციის ნაკლებობა, რასაც გა-ნაპირობებს კულტურული და ეკონომიკური გარემო და ასევე მშობლების განათლების დონე;

2. რესურსების ხელმისაწვდომობა, რაც მოიცავს, როგორც ეკონომიკური ასევე არაეკონომიკური რესურსების ხელმისაწ-ვდომობას. ეკონომიკური რესურსების ძირითად შემადგენელს უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში წარმოადგენს: უნი-ვერსიტეტში სწავლის საფასური, საუნივერსიტეტო ქალაქში ცხოვრებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები, კერძოდ მომზადებისათვის საჭირო თანხა. არაეკონომიკურ რესურსებს

მიეკუთვნება სასკოლო განათლების ხარისხი, კერძო მასწავლებლების პროფესიონალიზმი და სახელმწიფო ენის ცოდნა.

ამდენად, უმაღლესში სწავლას განაპირობებს განათლების მნიშვნელობის აღქმა და შესაბამისად მისი მიღების სურვილი, მშობლების განათლების დონე, სასკოლო განათლების ხარისხი, ოჯახის მატერიალური კეთილდღეობა და თბილისში ცხოვრება, სადაც ყველაზე მეტი უნივერსიტეტი და პროფესიული რესურსია კონცენტრირებული. ეროვნული უმცირესობებისათვის ამ ჩამონათვალს ქართული ენის ცოდნა ემატება.

უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის შემაფერხებელი ფაქტორების დასადგენად ძირითადად სტუდენტების გამოკითხვა იქნა გამოყენებული. ეს გარკვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული, კვლევის მიღმაა დარჩენილი ის კონტინგენტი, რომელმაც არ მოინდომა ან ვერ ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებისას კი პრობლემას, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რესპონდენტების მიერ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების სიზუსტე და/ან სურვილი წარმოადგენს. ამ შეზღუდვების მიუხედავად ვფიქრობთ, მიღებული შედეგები მაინც სწორად ასახავს არსებულ ტენდენციებს.

განათლების მიღების მოტივაცია

განათლების მნიშვნელობის აღქმა

უმაღლესი განათლების მიღების უპირველეს საწინდარს განათლების მიღების სურვილი წარმოადგენს. ეს სურვილი კი დიდწილად მისი მნიშვნელობის აღქმით არის გაპირობებული. სტუდენტების 95.2%-ს განათლება მნიშვნელოვნად მიაჩნია. განათლება ახალქალაქში მცხოვრები მოსწავლეებისათვის უფრო მნიშვნელოვანია (93.5%), ვიდრე თბილისში (92.7%), რეგიონში მცხოვრები (92.7%) ან მარნეულები (84.1%) მოსწავლეებისათვის.

გამოკითხულ მოსწავლეთა 9.4% მთლიანად საქართველოში, 33.0%-ს მარნეულში და 30.1% ახალქალაქში არ სურს სწავლის გაგრძელება. ამის მიზეზად მთლიანად საქართველოში უფრო

ხშირად ასახელებენ ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად საჭირო ცოდნის ნაკლებობას (23.9%), მარნეულში სწავლისადმი ნაკლებ ინტერესს (35.7%), ახალქალაქში კი მიზეზებს არ აკონკრეტებენ (39.3%). დასახელებული მიზეზების მსხვილ კატეგორიებში გაერთიანების შედეგად მთლიანად საქართველოსა და მარნეულელი მოსწავლეებისათვის უმადლესი განათლების მიღების ყველაზე მნიშვნელოვან დაბრკოლებას ეკონომიური ფაქტორები წარმოადგენენ (35.8% მთლიანად საქართველოში და 42.9% მარნეულში), ხოლო ახალქალაქში დასახელებული იყო სხვა მიზეზები, რომელთა დიდი ნაწილი რესპონდენტებმა არ დააკონკრეტეს. სწავლის მოტივაციის ნაკლებობა სიდიდით მეორე კატეგორიას წარმოადგენდა სამივე ჯგუფის რესპონდენტებთან (30.5% მთლიანად საქართველოში, 41.4% მარნეულში და 37.5% ახალქალაქში). ზომით მესამე ხელისშემშლელ ფაქტორად არასაკმარისი ცოდნა იქნა დასახელებული. მასზე მიუთითა გამოკითხულ მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 30.4%, მარნეულელების 34.3% და ახალქალაქელების 19.6%-მა. შესაბამისად საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელების სწრაფვა ბევრად უფრო მაღალია მთლიანად საქართველოს მოსწავლეებთან (90.6%), ვიდრე ეროვნული უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მოსწავლეებთან (67.0% მარნეულში და 69.9% ახალქალაქში). საერთო ჯამში, უფრო მეტ მოსწავლეს სურს მთლიანად საქართველოში უმადლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება (86.7%), ვიდრე ეს მარნეულსა (57.1%) და ახალქალაქში (57.0%) სურთ, ხოლო უფრო მეტ მარნეულსა (9.9%) და ახალქალაქში (12.9%) მაცხოვრებელ მოსწავლეს სურს პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელება ვიდრე ეს მთლიანად საქართველოში (3.9%) სურთ.

უმადლეს სასწავლებელში პროფესიის შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს სპეციალობისადმი ინტერესი, კარგი ანაზღაურება და სამსახურის შოვნის შესაძლებლობა წარმოადგენს. უნივერსიტეტის შერჩევის მიზეზებად კი აბიტურიენტები ძირითადად ასახელებენ: პროფესიის კარგად სწავლებას მოცე-

მულ უნივერსიტეტში, ჩარიცხვის შანსს, სწავლების საფასურს, უნივერსიტეტის პრესტიჟს, და საუნივერსიტეტო ქალაქში ნათესავეების ყოლას.

მშობლების განათლების სტატუსი

გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობის (90.4%) ორივე ან ერთ-ერთ მშობელს აქვს უმაღლესი განათლება მიღებული. ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტებში ყველაზე დიდია (82.8%) მათი წილი, რომელთა ორივე მშობელსაც აქვს მიღებული უმაღლესი განათლება. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების მქონე მშობლების სიდიდით მეორე ჯგუფს (71.3%), ყველაზე ნაკლებ პოპულარულ უნივერსიტეტების სტუდენტებთან ვხვდებით.

რესურსები

სკოლაში მიღებული ცოდნის ხარისხი

სკოლაში მიღებული ცოდნის დაბალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს უმაღლესი განათლების მისაღებად ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობას. სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისად არ მიაჩნიათ არც საატესტატო გამოცდების (ასე ფიქრობს სტუდენტების 38.8%, ქართულენოვან მოსწავლეთა 41.0%, მარნეულელი მოსწავლეების 27.7% და ახალქალაქელების 9.1%), და მით უფრო ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად (ასე ფიქრობს სტუდენტების 65.9%, ქართულენოვან მოსწავლეთა 71.9%, მარნეულელი მოსწავლეების 41.5% და ახალქალაქელების 55.4%). ცოდნის სიმცირე კი განაპირობებს კერძოდ მომზადების საჭიროებას.

დისკუსიებში, რომლებიც ქუთაისში, ბათუმში, მარნეულსა და ახალქალაქში აბიტურიენტების მშობლებთან, სკოლის მასწავლებლებთან და განათლების რესურს ცენტრის ხელმძღვანელებთან გაიმართა გამოიკვეთა ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ სასკოლო განათლების დაბალ ხარისხს და აქედან გამომდინარე, რეპეტიტორების ყოლის აუცილებლობას. ასეთად დასახელებული იყო მთლიანად განათლების სისტემის ძირეული ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებული იყო, როგორც სას-

წავლო პროცესთან, ასევე მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. დისკუსიანტებმა მიუთითეს სასწავლო პროცესების ხარვეზებზე – სკოლების ცუდი ტექნიკური ბაზა, კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, სასწავლო პროცესის არასწორი დაგეგმვა, პროგრამების და სახელმძღვანელოების დაბალი ხარისხი, სასკოლო განათლების ეროვნულ გამოცდების მოთხოვნებთან შეუსაბამობა. მასწავლებლებთან დაკავშირებული ფაქტორებიდან ხაზი გაესვა მასწავლებლების მოტივაციის ნაკლებობას, გამოწვეულს მცირე ხელფასით და ამით გამოწვეულ კვალიფიციური კადრების სიმცირეს; მოსწავლეთა მოტივაციას და კერძოდ მომზადების უკვე ჩამოყალიბებულ ჩვევას; მე-12 კლასში მოსწავლეთა დასწრებას; მშობელთა სკოლისადმი დამოკიდებულებას. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ამ ჩამონათვალს დაემატა ქართული ენის არასათანადოდ სწავლება.

ოჯახის ეკონომიკური სტატუსი

გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (სტუდენტების 74.1%, მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 78.4%, მარნეულები მოსწავლეების 75.7% და ახალქალაქელების 79.6%) საკუთარ ოჯახს შეძლებულად მიიჩნევს. დევნილების ეკონომიკური მდგომარეობა უფრო მძიმეა, ვიდრე არადევნილების. საკუთარ ოჯახს შეძლებულად მიიჩნევს დევნილ მოსწავლეთა 56.7% წინააღმდეგ არადევნილ მოსწავლეთა 80.9%-ისა.

ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება მასობრივ ხასიათს ატარებს. ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, გამოკითხულთა უმრავლესობა კერძო მასწავლებლებთან ემზადებოდა. ასეთი იყო სტუდენტების 78.5%, მთლიანად საქართველოს მოსწავლეთა 85.7%, მარნეულებების 64.0% და ახალქალაქელების 47.3%. არადევნილ მოსწავლეებთან შედარებით (87.9%) დევნილი მოსწავლეების უფრო მცირე ნაწილი (79.2%) ემზადებოდა საგამოცდო საგნებში.

სტუდენტების და მთლიანად საქართველოს მოსწავლეების ყველაზე დიდი ნაწილი (შესაბამისად 38.6% და 39.9%) ოთხ, ხოლო მარნეულებების და ახალქალაქელების (შესაბამისად

26.2% და 22.6%) ერთ საგანში ემზადებოდა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიურ მდგომარებასთან ერთად იზრდება იმ სტუდენტთა წილი, ვინც 4 ან 5 საგანში ემზადებოდა (ღარიბი ოჯახების 31.3%, საშუალო შეძლების 35.3% და შეძლებულების 46.3%). შეძლებული სტუდენტების წილი ყველაზე დიდი იყო ყველაზე მეტად (81.6%), მაგრამ ასევე ყველაზე ნაკლებ (81.9%) პოპულარულ უნივერსიტეტებში.

უმაღლესი განათლების მიღება მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. კერძოდ ოთხ საგანში მომზადება საშუალოდ 2880 ლარი ჯდება. ქვეყანაში არსებული ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით ეს დიდ თანხას წარმოადგენს, მაგრამ მაინც ბევრად ნაკლებია ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასახდელი სწავლის საფასური, რაც ბაკალავრიატის 4 წელიწადში 9000 ლარს შეადგენს. ერთიან ეროვნულ გამოცდებში წარმატების შემთხვევაში და შესაბამისად გრანტის აღებით, სტუდენტს ეძლევა ამ თანხის ნაწილობრივ ან მთლიანად დაფარვის შესაძლებლობა. სწავლის საფასურის ჩათვლით სტუდენტს ერთი თვე ცხოვრება იქ, სადაც მას ბინის ქირაობაც უწევს თვეში საშუალოდ 1107 ლარი უჯდება. ეს კი 4 წელზე გამრავლებული და მას დამატებული ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების თანხა 56016 ლარს შეადგენს.

საცხოვრებელი ადგილი

კვლევაში ცხადყო, რომ საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სასკოლო განათლების ხარისხს, რეპეტიტორების პროფესიულ დონეს და სტუდენტური ცხოვრების დანახარჯებს. თბილისელ სტუდენტთა წილი ბევრად მაღალია (34.0%), ვიდრე რომელიმე ცალკეული რეგიონიდან ჩაირიცხულ სტუდენტების წილი. მნიშვნელოვანია განსხვავება უნივერსიტეტების პოპულარობის მიხედვით. ჩვენს მიერ გამოკითხულ ყველაზე პოპულარულ უნივერსიტეტებში თბილისელები პირველკურსელთა 60.2%, ხოლო ყველაზე ნაკლებ პოპულარულებში მხოლოდ 18.2%-ს შეადგენდნენ.

ქართული ენის ცოდნა

ქართული ენის ცოდნა მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებისათვის. ქართული ენა მიუთითა, რომ იცოდა მარნეულელი მოსწავლეების 62.5% და ახალქალაქელების 51.7%-მა. სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელ პირობად ქართული ენის არ ცოდნა დაასახელა მარნეულელების 20.0%-მა და ახალქალაქელების 14.3%-მა.

დისკუსიის დროს აღინიშნა, რომ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის შემოდგამ მნიშვნელოვნად გაზარდა აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი მოსწავლეებისათვის საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, აუცილებლად იქნა დანახული ქართული ენის სწავლების გაძლიერება სკოლებში და ასევე ენის სწავლის შესაძლებლობების გაზრდა სკოლის გარეთ.

8.3. ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის პირობები: მსგავსება ღირებულებებში

უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს. ინტეგრაციას საფუძვლად უდევს უმრავლესობისა და უმცირესობების ძირითად ღირებულებების მსგავსება. კვლევაში შედარებულ იქნა ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურენოვან მოსწავლეების ძირითადი ღირებულებითი ორიენტაციები. ანალიზმა გამოავლინა განსხვავება მთელ რიგ ღირებულებებში. შედარებისას დასახლების ტიპის ზეგავლენის შემცირების მიზნით მთლიანად საქართველოს მოსწავლეები დაყვავით თბილისის და რეგიონების მაცხოვრებლებად.

პიროვნების აქტივობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს რწმენა საკუთარი ქმედებების ეფექტურობაში. კითხვარში ამ ტენდენციის საზომად გამოყენებული იყო სამი კითხვა, რომელთა შეჯამებითაც ჩვენ შევადგინეთ ქმედითეფექტურობის კომპოზიტი – მანვენებელი. იგი ყველაზე მაღალი (49.7%) იყო რეგიონების, შემდეგ თბილისის (44.8%), მარნეულის (37.6%) და ყველაზე მცირე ახალქალაქის (36.9%) მოსწავლეებთან.

ქმედითეფექტურობის აღქმასთან არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის აუცილებლობის განცდა. ეს განცდა ყველაზე მეტად თბილისელ (59.5%), შემდეგ რეგიონებში მცხოვრებ (50.6%), მარნეულელ (38.0%) და ყველაზე ნაკლებად ახალქალაქელ მოსწავლეებს აქვთ (25.8%).

5 მტკიცებებისაგან, რომლებიც ოჯახის ტრადიციულ გაგებასთან იყო დაკავშირებული ჩვენ შევქმენით ტრადიციულ ღირებულებების კომპოზიტი ცვლადი. მისი მანვენებელი ყველაზე დაბალი იყო თბილისში (6.0%), შემდეგ რეგიონებში (12.3%), მარნეულში (22.0%) და ყველაზე მაღალი ახალქალაქში (30.8%).

ჩვენს მიერ გენდერული თანასწორობის საზომად გამოყენებული 5 ცვლადისგან შექმნილი კომპოზიტი მანვენებელი ყველაზე მაღალი თბილისში (41.9%), შემდეგ რეგიონებში (32.5%), ახალქალაქში (13.1%) ხოლო ყველაზე დაბალი მარნეულში (2.7%) იყო.

მატერიალიზმი და პოსტ-მატერიალიზმი ქვეყანის დემოკრატიული განვითარების გავრცელებულ ინდიკატორს წარმოადგენს. მისი გასაზომი ინსტრუმენტი 4 პასუხით ორჯერ ეძლევა რესპონდენტს. პასუხებიდან ორი მატერიალურ, ორი კი პოსტ-მატერიალურ ღირებულებას ასახავს. რესპონდენტს მოეთხოვება შეარჩიოს მისთვის პრიორიტეტით პირველი და მეორე პასუხი. გაკეთებული არჩევანის მიხედვით დგინდება შერეული (ერთი მატერიალური და ერთი პოსტ-მატერიალური მტკიცება), მატერიალური ან პოსტ-მატერიალური ორიენტაცია. როგორც იყო მოსალოდნელი შერეული ორიენტაცია ყველა ჯგუფებში პრევალირებდა. იგი ყველაზე მაღალი იყო მარნეულში (72.1%), შემდეგ – თბილისში (68.3%), საქართველოს დანარჩენ რეგიონებში (64.1%) და ყველაზე დაბალია ახალქალაქში (55.6%). მატერიალური ორიენტაცია ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ახალქალაქში (27.1%), შემდეგ რეგიონებში (26.3%), თბილისში (19.5%) და ყველაზე ნაკლებად მარნეულში (18.8%). ყველაზე დაბალი პოსტ-მატერიალური ღირებულება იყო. იგი ყველაზე მეტად ახალქალაქელ მოსწავლეებს (17.3%) ქონდათ, შემდეგ თბილისელებს (12.2%), რეგიონის მაცხოვრებლებს (9.6%) და ბოლოს მარნეულელებს (9.1%).

პიროვნული თვისებების შეფასება ასევე იძლევა ინფორმაციას ღირებულებებზე. სამ ყველაზე სასურველ თვისებად თბილისელი მოსწავლეებისათვის წარმოადგენს ის, რომ ადამიანი იყოს მეგობრის ერთგული, ქონდეს ახალი იდეები და ეხმარებოდეს სხვებს; რეგიონის მაცხოვრებლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი იყოს მეგობრის ერთგული, მორწმუნე და ეხმარებოდეს სხვებს; მარნეულებებისთვის: ადამიანი სარგებლობდეს პატივისცემით, იყოს მეგობრების ერთგული და ეხმარებოდეს სხვებს; ახალქალაქელებისათვის: ადამიანი იყოს მეგობრების ერთგული, სარგებლობდეს პატივისცემით და ეხმარებოდეს სხვებს.

9. დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს მოსახლეობისათვის განათლება მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს. მოსწავლეების სწრაფვა უმაღლესი განათლების მიღებისაკენ სწორედ ამით განისაზღვრება. ამ სწრაფვას მშობლების განათლების მაღალი დონეც ამყარებს.

სკოლაში სწავლის დაბალი ხარისხი ვერ უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებას, შესაბამისად მშობლები იძულებულნი არიან შვილები კერძოდ მოამზადონ. კავკასიის ბარომეტრის 2013 წლის მიხედვით საქართველოს განათლების სისტემას მეტწილად ან მთლიანად ენდობოდა მხოლოდ მოსახლეობის ნახევარზე ოდნავ მეტი (55.0%) (CRRC, 2013). აბიტურიენტის კერძოდ მომზადება ოჯახს ძალზე ძვირი უჯდება, თუმცა უმრავლესობა, ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ამას მაინც ახერხებს. მომზადების შედეგების სიმძიმე სხვადასხვაა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რესურსები უფრო მეტია თბილისში, ვიდრე რეგიონებში. მასწავლებლების პროფესიული კადრები, დასაქმების შესაძლებლობები და შესაბამისად ფინანსური რესურსები უფრო მეტად თბილისშია კონცენტრირებული. ამდენად თბილისელი მოსწავლეების შეს-

აძლებლობა ჩაირიცხონ პოპულარულ უნივერსიტეტებში, რომელთა უდიდესი უმრავლესობაც თბილისშია განთავსებული ბევრად აღემატება რეგიონში მცხოვრებ და უფრო დაბალი სოციო-ეკონომიური სტატუსის მქონე ოჯახების შვილების შესაძლებლობებს.

დევნილ მოსწავლეებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი უმაღლეს განათლებაზე, ვიდრე არადევნილ მოსწავლეებს, რაც მათ შორის სიღარიბის უფრო მაღალ მაჩვენებელსა და შესაბამისად, მომზადებისათვის საჭირო რესურსების სიმცირეს უკავშირდება.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის მხრივ მთლიანად საქართველოსგან განსხვავებული და ბევრად უარესი მდგომარეობაა ეროვნული უმცირესობების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ გამოყოფილი კვოტები უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად, ასევე აქვთ შესაძლებლობა ზოგად უნარებში გამოცდის მშობლიურ ენაზე ჩაბარების და ქართულ ენაში ერთწლიანი კურსების უნივერსიტეტში გაფლის, მათი უმრავლესობა მაინც საქართველოს უმაღლესი განათლების მიღმა რჩება. ამის ძირითადი მიზეზებია უმაღლესი განათლების მიღების შედარებით დაბალი მოტივაცია, ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე, სომხეთისა და აზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილება.

ამდენად, სკოლადამთავრებულ მოსწავლეთა დიდი ნაწილი ახერხებს უმაღლესში, თუმცა ღარიბები ნაკლებ სასურველ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას. კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რის ხარჯზე აკეთებს ამას ოჯახი ქვეყანაში, სადაც ღარიბები 18.2% შეადგენენ, სადაც სახელმწიფო მოსახლეობის 11.0% აძლევს შემწეობას? სად არის გამოსავალი? დისკუსიის მონაწილეთა ნაწილმა მიუთითა, რომ კერძოდ მომზადების აუცილებლობა სასკოლო პროგრამის და ეროვნული გამოცდების მოთხოვნებთან შეუსაბამობით არის გამოწვეული. თუ ეს ასეა, ამაზე დისკუსია და მოთხოვნების ჰარმონიზაცია რასაკვირველია აუცილებელია. სკოლაში არ ისწავლება ზო-

გადი უნარები, რაც ზოგადი უნარების გამოცდების საფუძვლებიდან გამომდინარე სწორია – მან უნარები უნდა გაზომოს და არა ცოდნა. მიუხედავად ამისა, ამ საგანში კერძოდ მომზადების გავრცელებული პრაქტიკა მიუთითებს ამ საგნის ჩასაბარებლად ჩვევის გამომუშავების საჭიროებაზე, რაც გავარჯიშებადია და შეიძლება რაღაც სახით, ცალკე საგნად ან მაგალითად, როგორც ენის და მათემატიკის პროგრამების ნაწილი სკოლაში ისწავლებოდეს.

როგორც კვლევა აჩვენებს, უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნით აღჭურვილი აბიტურიენტების შესვლა ოჯახისა და რეპეტიტორების ხარჯზე ხდება, რაც ბაღებს უთანასწორობას ეკონომიკური და ასევე საცხოვრებელი ადგილის თვალსაზრისით.

რეალურ გამოსავალს, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის ოჯახის ეკონომიკური რყევის თავიდან აცილების გათვალისწინებით და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თანასწორი შესაძლებლობების შექმნით, მხოლოდ და მხოლოდ განათლების, განსაკუთრებით კი სასკოლო განათლების სისტემის ძირეული რეფორმირება წარმოადგენს. სკოლის განათლების ხარვეზები არც ახალი და არც უცნობი.

2006 წლიდან მოყოლებული საქართველომ მონაწილეობა მიიღო წიგნიერების რამდენიმე კვლევაში და ძალზე ცუდი შედეგები აჩვენა. ეს კვლევებია:

- PIRLS (Progress in International Reading Literacy Study), რომლის მიზანსაც წარმოადგენს კითხვის უნარის დადგენა 9-10 წლის ასაკის მეოთხე კლასის მოსწავლეებთან. 2006 წელს 45 ქვეყანას შორის საქართველომ 37-ე ადგილი დაიკავა. 2011 წელს კი 34-ე ადგილი 49 ქვეყანას შორის;
- TIMSS (Trends International in Mathematics and Science Study) იკვლევს მეოთხე და მერვე კლასელ მოსწავლეების ცოდნას მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში. 2007 წელს 56 ქვეყანას შორის საქართველომ მეოთხე კლასელებთან 28 -ე, ხოლო მერვე კლასელებთან 38-ე ადგილი დაიკავა.

- 2011 წელს მათემატიკაში მეოთხე კლასელებთან საქართველო 53 ქვეყანას შორის მე-40, მერვე კლასელებთან კი 45 ქვეყანას შორის 27-ე ადგილზე იყო.

საბუნებისმეტყველო საგნებში 2011 წელს მეოთხე კლასელებთან 37-ე ადგილზე 53 ქვეყანას შორის, მერვე კლასელებთან 35-ე ადგილზე იყო 45 ქვეყანას შორის. www.Timssandpirls.bc.edu

- PISA (International Program in Students' Achievements) იკვლევს წიგნიერებას, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნას და ასევე მათ გამოყენებას. 2009 წლის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 74 ქვეყანამ. წიგნიერებაში საქართველო იყო 67-ე, მათემატიკაში 64-ე და საბუნებისმეტყველო საგნებში 69-ე ადგილზე. აღსანიშნავია, რომ წიგნიერებასა და საბუნებისმეტყველო საგნებში გოგონების ცოდნა ადამატებოდა ბიჭებისას (გამოცდების ეროვნული ცენტრი).

ზეგავლენაზე, რომელიც ტესტზე ქვეყნების მაჩვენებელს აქვს, ქვეყნის განვითარების პერსპექტივაზე, მიუთითებს OECD-ის (2010) შეფასება. მის მიხედვით PISA-ს ქულების 50 ერთეულით ზრდა 50 წლიან პერსპექტივაში განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლის 0.9%-ით ზრდას.

კვლევამ აჩვენა, რომ აზერბაიჯანულ და სომხურენოვან სკოლებში სასკოლო განათლება კიდევ უფრო დაბალ დონეზეა, ვიდრე მთლიანად საქართველოში. საკმარის დონეზე არ ისწავლება სახელმწიფო ენა, რაც ქმნის როგორც უმაღლესი განათლების საქართველოში მიღების, ასევე ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემებს.

ამგვარად, კვლევამ ცხადყო ქვეყანაში არსებული უთანასწორობა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე. მის ძირითად მიზეზებს კი სასკოლო სისტემის ხარვეზები და ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს. შესაბამისად, მდგომარეობის გამოსწორების გზებს ზოგადად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, განათლების ზეგავლენის გაზრდა, სამუშაოს

შოვნის შესაძლებლობები და სასკოლო განათლების რეფორმა წარმოადგენს. განათლება უნდა იქცეს ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებად. განათლების სფეროში შედეგების მიღებისთვის დიდი დროის საჭიროებიდან გამომდინარე ამ საკითხთან დაკავშირებით დიალოგი და საქმიანობა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. სკოლამ უნდა განაპირობოს მოსწავლეთა ცოდნის მაღალი დონე სასწავლო პროცესის უკეთ მართვის, პროგრამების გაუმჯობესების, კარგი სახელმძღვანელოების და მაღალი მომთხოვნელობის საშუალებით. ამის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენს, ისევე როგორც მთლიანად საზოგადოების, კერძოდ კი მშობელთა აქტიური ჩართვა სკოლის ცხოვრებაში.

ეროვნული უმცირესობებთან მიმართებაში ამას უნდა დაემატოს სკოლაში ქართული ენის ადექვატურად სწავლება. უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით აუცილებელია მათი ღირებულებების უმრავლესობის ღირებულებებთან დაახლოება. ამისათვის კი მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა სახელმწიფო ენის სწავლება, საქართველოს მედია საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა.

ეკონომიკური მდგომარეობა მხოლოდ აბიტურიენტთა ჩარიცხვის ხელისშემშლელ პირობას არ წარმოადგენს. არსებული მონაცემებით 11000 სტუდენტს დღესდღეობით შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადება, რადიო თავისუფლება, 2014). საჭიროა სახელმწიფო უნივერსიტეტებში იმ სპეციალობების ნუსხის გაზრდა, სადაც სწავლა უფასოა. სხვა ქალაქში, ოჯახისგან მოშორებით ცხოვრება მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტთა ხარჯებს. აუცილებელია რეგიონებში განთავსებული უნივერსიტეტების გაძლიერება. ასევე სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებით და იაფი სასადილოებით უზრუნველყოფა.

არსებული კანონმდებლობით პირს, რომელიც საბაზო განათლების შემდეგ პროფესიულ განათლებას იღებს, უმაღლესი

განათლების მიმართულებით სწავლის გაგრძელება არ შეუძლია, თუ არ აიღებს ზოგადი განათლების დამადასტურებელ ატესტატს. პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონ-პროექტი, რომელიც მომზადების სტადიაშია, ითვალისწინებს ამ შეზღუდვის მოხსნას. ამდენად, მნიშვნელოვანია დაჩქარდეს პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის მიღება. ასევე აუცილებელია პროფესიული სასწავლებლების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, სასწავლებლების რეგიონებში გახსნის/დაარსების ხელშეწყობა რეგიონის შრომის ბაზრის სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

ბიბლიოგრაფია

გამოცდების ეროვნული ცენტრი. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA. 2009 წლის კვლევის ეროვნული ანგარიში. www.naec.ge

მსოფლიო ბანკი (2014). საქართველო: შესაძლებლობები კეთილდღეობის მისაღწევად.

რადიო თავისუფლება (2014) 14 ოქტომბერი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2015). www.Geostat.ge

ტაბატაძე, შ. და გორგაძე, ნ. (2013). კვორტრების სისტემის კვლევა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. თბილისი.

CRRC(2013). Caucasus Barometer 2013. www.caucasusbarometer.org

Inglehart, R., & Welzel, Ch. (2009).How Development Leads to Democracy. *Foreign Affairs*, March-april issue.

Johnstone D.B. (2009). Worldwide trends in financing higher education. In Jane Knight (Ed.). *Financing Access and Equity in Higher education*. Sense Publishers. Rotterdam/Taipei. P.1-18

Kutaladze,I. (2012). The role of international Surveys in the Reform of Education System.www.css.ge

O'Hara, S & Johnstone, D.B. (2009). Foreward.In Jane Knight (Ed.). *Financing Access and Equity in Higher education*. Sense Publishers. Rotterdam/Taipei p.vii-viii

WVS (2008). www.worldvaluesurvey

www.Timssandpirls.bc.edu

SUMMARY OF THE MAIN RESULTS

This project was carried out thanks to the support of the Georgian Foundation for Open Society and carried out by the Institute for Policy Studies.

1. INTRODUCTION

A high level of education is associated with economic well-being and democratic rule in any country. Education is one of the main determinants of the socio-economic status of an individual and the equality in the access to education is an indicator of equality existing in the country as a whole. University education is pricy and its costs are continuously increasing all over the world. Education usually is more accessible to the children of well-to-do, educated parents, of people belonging to dominant ethnicities and language groups, and of those who live in less geographically-isolated places (O’Hara & Johnstone, 2009).

The operation of Universities is determined by the political, economic and historical factors specific to any one country, as well as its relation to the globalized international context.

2. REVIEW OF GEORGIAN EDUCATION SYSTEM

The education system of Georgia consists of pre-school, school, University and vocational levels of education. The “school” system is comprised of the following levels: “primary” (1-6 grades), “basic” (7-9 grades) and “Secondary” (10-12 grades). In the country there operates 2085 public and 246 private schools. The “basic” educational level is compulsory. After graduating this level, the pupils can continue their studies at high school or at a vocational school. Vocational education is provided by 35 public and 20 private schools, as well as at 15 public and 4 private Universities (Geostat, 2015).

To obtain a certificate for high school graduation, the pupil has to pass the CAT exams. This allows the pupil to continue studies at one of Georgia’s 62 Universities. Toward this end, the pupil has to pass the United National Exams and to select both the program and university one wants to be

enlisted in (It is possible to make up to 20 choices). National Exams are held in a unified form simultaneously at 11 geographic locations. The Unified National Exams were introduced in 2005 and were aimed at curbing corruption and, hence, increasing fair access to University education. In 2005, pupils had to pass exams in Georgian language and literature, General Skills and a foreign language. The requirements, however, have since been changed. In 2014, next to above listed subjects, pupils had to take one more exam from one of the following subjects: Mathematics, Physics, Biology, Georgian literature, Geography, History or Arts. For creative programs, pupils have to pass a special exam, but this exam is already organized by the University.

According to a 2002 census, ethnic minorities comprised 15.8% of the population; among them Azeris comprised 6.5%, Armenians 5.7%, Russians 1.5%, and all others 2.1%.

A large part of the Azeri and Armenian populations inhabit compact areas of Georgia: Kvemo Kartli and Javakheti respectively. The introduction of the National Exams drastically reduced the chances of ethnic minorities to be enlisted at Universities due to the requirement of taking National Exams in Georgian. Already in 2006, with the goal of increasing access to University education, ethnic minorities were allowed to take exams in Russian. In the same year in Javakheti, namely Akhalkalaki and Ninotsminda courses in Georgian began to run. Since 2008, ethnic minorities were allowed to take exams in General Skills in their own native language. This measure resulted in an increase in the number of Azeri and Armenian students at Universities, but not by a considerable degree. To increase access further, the next step was taken: in November 19th, 2009, an amendment to the Law on University Education was passed by which pupils who pass the National Exam in General Skills in their native language are enlisted at University according to quotas delineated by law (for Azeri 5% and for Armenians 5% of the number of places at Universities, and 1% of Abkhaz and 1% of Ossetian nationalities) after graduating a one year 60-credit course in the Georgian language at University.

The introduction of quotas and the Georgian language program considerably increased the number of students from ethnic minorities. In 2010, 331

